# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან

ფასი 1 ლარი

www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

№100 (9780) 2024 წლის 2 სექტემბერი. ორშაბათი




# „კრიმანჭულის“ ახალი ეროვნული დანიშნულება

2–3

**ბიძინა ივანიშვილი:
26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში „ქართული ოცნების“ დამაჯერებელი გამარჯვების შემდეგ ერთხელ და სამუდამოდ უნდა დასრულდეს რადიკალების მონაწილეობა ქართულ პოლიტიკაში**

საკონსტიტუციო ცვლილებები არ გულისხმობს მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას, ან მისთვის საკანონმდებლო თვალსაზრისით რაიმე უპირატესობის მინიჭებას. საუბარია ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ქვეყნის, ისტორიის წინაშე დამსახურების საკანონმდებლო დონეზე აღიარებასა და მისი უფლებების დაცვაზე.

ბიძინა ივანიშვილი

## ეს ტრიუმფია საქართველოსი!




**ქართველი პარასპორტსმენები ზაფხულის პარალიმპიურ თამაშებზე წარმატებულ ასპარეზობას განაგრძობენ. მსოფლიოს მოქმედმა ჩემპიონმა, ქართველმა მძლეოსანმა გიგა ოჩხიკიძემ ბირთვის კვრაში კვლავ ჩემპიონობა იზეიმა და საქართველოს პარალიმპიადაზე ოქროს მედალი მოუტანა.**

მან ბირთვის 9.66 მეტრზე კვრა შეძლო, სადებიუტო პარალიმპიადაზე ოქროს მედალი მოიპოვა და მსოფლიოს რეკორდი დაამყარა. სამწუხაროდ, მისი შედეგი მაროკოსა და პოლონეთის დელეგაციების პროტესტის გამო გააუქმეს, როგორც ითქვა, ბირთვის არასწორად სროლისთვის. თუმცა, ეს გადაწყვეტილება საქართველოს დელეგაციამ გააპროტესტა და შედეგსაც მიაღწია. ახლა ჩემპიონად ოფიციალურ საიტზე ისევ ოჩხიკიძეა გამოცხადებული. შესაბამისად, მას ერგო ოქროს მედალი, ვერცხლი მაროკოელ **აბდელჰამიდ განის**, ხოლო ბრინჯაო **ალირეზა მოხტარის**. აღსანიშნავია, რომ საქართველომ პარალიმპიადასა და ოლიმპიადაზე ბირთვის კვრაში მედალი პირველად მოიხვეჭა. ასევე, დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში გიგა ოჩხიკიძე პირველი სპორტსმენია, რომელმაც პარალიმპიადასა და ოლიმპიადაზე მძლეოსნობაში მედალი მოიპოვა.

კულისებიდან

თეიმურაზ ქორიძე

4

## ქართველების გარდა, კიდევ ვინ არ უყვარს „ხალხთმოძულე“

5

## ბიძინა ივანიშვილს, ამხანაგო ხაზარაძევ?!



## უღირსეულესი მწერალი, არტისტი და საზოგადო მოღვაწე

9



შალვა დადიანი-150

## საუკუნესმიღწეული მხატვრის ახდენილი ოცნება

6–7





# „კრიმანჭულის“ ახალი ეროვნული დანიშნულება

**ბიძინა ივანიშვილი: 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში „ქართული ოცნების“ დამაჯერებელი გამარჯვების შემდეგ ერთხელ და სამუდამოდ უნდა დასრულდეს რადიკალების მონაწილეობა ქართულ პოლიტიკაში**

## ბიძინა ივანიშვილის წინასაარჩევნო გამოსვლა ოზურგეთში

**„მოგესალმებით, გურულებო!**

მივესალმები ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ ულამაზეს კუთხეში მცხოვრებ, ნათელი გონების, ენამოსწრებულ, სტუმართმოყვარე, ღირსეულ და თავისუფალ ხალხს!

ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ ისტორიაში გურულებს რომ განსაკუთრებული როლი გაქვთ შესრულებული, ეს არავის ესწავლება. თქვენი და თქვენი წინაპრების პოლიტიკური განსწავლულობა და ალღო მრავალჯერ დამტკიცებულა.

თამამად ვიტყვი, რომ სწორედ ამ კუთხის შვილები ხართ ჩვენი სამშობლოს ერთ-ერთი მთავარი პოლიტიკური დასაყრდენი.

ასე იყო წარსულშიც, როდესაც თავისუფლებისმოყვარე გურულებმა, გაბედეს და ანექსიის მიუხედავად, გურიის რესპუბლიკა გამოაცხადეს. ამ მამაცმა ხალხმა თავად აიღო ხელში საკუთარი ბედისა და მომავლის მართვა და გამოავლინა თქვენთვის ასე დამახასიათებელი ორგანიზაციული ნიჭი.

ასე იყო 1918 წლის 26 მაისს, როდესაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა შეიქმნა – საქართველოს დამოუკიდებლობის დამფუძნებელი კრების წარმომადგენელთა უმეტესობა ხომ გურულები იყვნენ და საქართველოს დამოუკიდებლობის აქტზე ხელმომწერთა შორისაც ხომ გურულები ჭარბობდნენ?!

ვიცი, რომ ჩვენი ქვეყნის სიყვარული და მის მომავალზე ფიქრი მუდამ თქვენს საზრუნავს შეადგენდა და შეადგენს.

**ეს დაამტკიცეთ საქართველოს უახლესი ისტორიის ურთულეს პერიოდშიც, როდესაც ჩვენი ხალხის ყოფნა-არყოფნის საკითხი წყდებოდა, როდესაც საქართველოს ხვალინდელი დღის აღარავის სწამდა, როცა ჩვენი ქვეყნის თითოეულ კუთხეში საყოველთაო ნიჰილიზმი სუფევდა, რადგან იმდროინდელი ხელისუფლების – „ნაციონალური მოძრაობის“ რეჟიმი ტერორში ამყოფებდა საკუთარ ხალხს.**

12 წლის წინ, 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებამდე გარწმუნებდით, რომ თქვენი ნდობის და მხარდაჭერის შემთხვევაში, ერთად დავასრულებდით მოძალადე რეჟიმს და იმ სიღატაკეს, რაც წინა ხელისუფლების მტაცებლური ბუნების გამო, მთელ საქართველოში, განსაკუთრებით კი გურიაში სუფევდა.

გემახსოვრებათ ისიც, რომ წლები გადიოდა, მაგრამ თქვენს დალოცვილ მხარეში არაფერი კეთდებოდა, უტიფრად იმეორებდნენ – გურია ლამაზი, თუმცა ღარიბი კუთხეაო, მაგრამ ამ მოცემულობის შესაცვლელად თითს-თითზე არ აკარებდნენ. მეტიც, იმდენი მოახერხეს, რომ სტუმარ-მასპინძლობით განთქმული გურულები სიდუხჭირეში აცხოვრეს, გულღია, სიცოცხლით სავსე ხალხს მომავლის იმედი და რწმენა დაუკარგეს.

როგორც პოლიტიკური ფიგურა, პირველად 12 წლის წინ შეგხვდით და შეგპირდით, რომ ჩემს პოლიტიკურ გუნდთან ერთად, ბოლომდე ვიბრძოლებდი იმისთვის, რომ ადამიანების ცხოვრება უკეთესობისკენ შეცვლილიყო, რომ გლეხის ნაშრომი დაფასებულიყო, ქართულ პროდუქტს ფასი დასდებოდა და ადგილობრივ ბაზარზე კვლავ გამოჩენილიყო ჩვენს მიწაზე, ჩვენი ხალხის მიერ მოყვანილი მოსავალი.

ამას გარდა, ბუნების მიერ უხვად დაჯილდოებული ამ კუთხის პოტენციალი ჩემთვის იმთავითვე ცხადი იყო – გურიას არაფერი აკლდა საიმისოდ, რომ აქ არაერთი მნიშვნელოვანი ინვესტიცია განხორციელებულიყო, რაც მთლიანად რეგიონის განვითარებაზე აისახებოდა.

**დღეს გურია ბევრად უფრო განვითარებულია, ვიდრე 12 წლის წინ. ადამიანის შრომა მეტად ფასდება, გურიის კურორტები არა მხოლოდ ადგილობრივი, არამედ უცხოელი ვიზიტორების საყვარელი ადგილებია, ბევრად უკეთაა განვითარებული ინფრასტრუქტურა, რაშიც, პირადად, ჩემი მოკრძალებული წვლილიც შევიტანე, რადგან ყოველთვის მწამდა და მწამს გურიის და გურული ხალხის უნიკალურობის!**

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ მიღწეული მთელი რიგი წარმატებების მიუხედავად, რა თქმა უნდა, შეჩერებას არ ვაპირებთ და მომავალშიც, ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ჩვენი ქვეყნის განვითარება და კეთილდღეობა ყველა თქვენგანმა, საქართველოს თითოეულმა მოქალაქემ საკუთარ თავზე იგრძნოს.

თუმცა, მოგეხსენებათ, განვითარება მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობის პირობებშია შესაძლებელი!

გურულებს მშვიდობის ფასი არ გესწავლებათ.

თქვენ ის ხალხი ხართ, ვინც ღვინის სამშობლოში, ქართულ სუფრაზე, საკრალური ქართული ღვინით, პირველად სწორედ მშვიდობის სადღეგრძელოს წარმოთქვამთ.

მშვიდობას რა ფასი აქვს, ჩვენი ქვეყნის ისტორიამ კარგად გვასწავლა. საუკუნეების განმავლობაში ქართველები არნახულ მსხვერპლზე მივდიოდით და სიცოცხლის ფასად, იარაღით ხელში ვიცავდით ჩვენი ოჯახების, ჩვენი ხალხის, ჩვენი ქვეყნის მშვიდობას.

მშვიდობის მნიშვნელობა მკაფიოდ დაგვანახა საქართველოს უახლესმა წარსულმაც, იმ ტრაგიკულმა მოვლენებმა, რაც ჩვენს სამშობლოში 90-იან წლებში დატრიალდა და 2008 წლის ომმა, დანაშაულმა, რომელზეც „ნაციონალური მოძრაობაა“ პასუხისმგებელი!

ამის საპირისპიროდ, „ქართული ოცნება“ ერთადერთი პოლიტიკური ძალაა საქართველოში, რომელმაც, ურთულეს ვითარებაში, ქვეყანას 12-წლიანი უწყვეტი მშვიდობა მოუტანა!

ყველა, ვისაც გვიყვარს ჩვენი ქვეყანა, ერთხმად ვთანხმდებით, რომ დღეს, იმ გამოწვევების გათვალისწინებით, რომელთა წინაშეც საქართველო რეგიონში მიმდინარე სამხედრო კონფლიქტების ფონზე დგას, მშვიდობის შენარჩუნება ჩვენი ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

თუმცა, ფაქტია, საქართველოში დღეს ჯერ კიდევ თავისუფლად საქმიანობენ რადიკალური ძალები, უფრო კონკრეტულად კი კოლექტიური „ნაციონალური მოძრაობა“, რომელსაც არათუ მშვიდობა არ სურს ჩვენს ქვეყანაში, არამედ ყველაფერს აკეთებდა და აკეთებს, რომ საქართველო, როგორმე, სამხედრო კონფლიქტში ჩაითრიოს.

კოლექტიური „ნაციონალური მოძრაობა“ ამ ქვეყნის არაკეთილმოსურნეთა სამსახურში დგას და ეს უკვე არაერთხელ დამტკიცდა.

ხაზგასმით ვაცხადებ, რომ ეს ძალა და მისთვის დავალების მიმცემები საქართველოს სახელმწიფოებრიობისთვის რეალურ საფრთხეს წარმოადგენენ!

დარწმუნებული ვარ, კრიტიკული აზროვნებით გამორჩეული გურულები ამას თავადაც კარგად ხედავთ.

დამეთანხმებით, რომ მუდმივად რევოლუციების მოწყობისა და ქვეყნის არევის მცდელობის რეჟიმში ცხოვრება ქვეყნის განვითარებასა და წინსვლას აფერხებს.

**ამიტომაც, 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში „ქართული ოცნების“ დამაჯერებელი გამარჯვების შემდეგ ერთხელ და სამუდამოდ უნდა დასრულდეს რადიკალების მონაწილეობა ქართულ პოლიტიკაში. და არათუ უნდა დასრულდეს, დღის წესრიგში უნდა დადგეს რეჟიმის გასამართლების საკითხი ყველაზე მძიმე დანაშაულისთვის, რაც მათ 2008 წლის აგვისტოში ჩაიდინეს და რამაც ჩვენი თანამოქალაქეების სიცოცხლე შეიწირა და საქართველოს ორი ისტორიული რეგიონი დაგვაკარგვინა. პირობას გაძლევთ, რომ არჩევნების შემდეგ ჩვენ აუცილებლად გავასამართლებთ კოლექტიურ „ნაცმოძრაობას“ მოღალატეობრივი ქმედებების გამო!**

**სხვაგვარად შეუძლებელია!**

უფლისა და სამშობლოს წინაშე ვალდებულნი ვართ, რომ ჩვენს შვილებს, ჩვენს მომავალ თაობას ჯანსაღი, დემოკრატიული პოლიტიკური სივრცე დავუტოვოთ, რათა საზოგადოებას არ უწევდეს არჩევანი ომსა და მშვიდობას, უცხო ქვეყნის აგენტებსა და ქართველი ხალხის ინტერესების გამტარებელ პოლიტიკურ გუნდს შორის და არჩევანს კარგსა და უკეთესს შორის აკეთებდეს.

ამიტომაც 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგებს ისევე, როგორც 2012 წლის 1 ოქტომბერს, ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს!

პრინციპულად მნიშვნელოვანია, რომ ქართველი ხალხის უპრეცედენტო მხარდაჭერით, „ქართულ ოცნებას“ ხელთ ჰქონდეს ყველა ბერკეტი საქართველოში გრძელვადიანი მშვიდობის დამყარებისა და გამართული დემოკრატიული საზოგადოებრივი წეს-წყობილების ჩამოყალიბებისათვის.

თქვენს მხარდაჭერაში დარწმუნებული, პირადად გაძლევთ პირობას, მხოლოდ მშვიდობით, ღირსებით, კეთილდღეობით ევროპისკენ – იქცევა რეალობად ქვეყნისა,






**2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში „ქართული ოცნების“ დამაჯერებელი გამარჯვების შემდეგ ერთხელ და სამუდამოდ უნდა დასრულდეს რადიკალების მონაწილეობა ქართულ პოლიტიკაში. და არათუ უნდა დასრულდეს, დღის წესრიგში უნდა დადგეს რეჟიმის გასამართლების საკითხი ყველაზე მძიმე დანაშაულისთვის, რაც მათ 2008 წლის აგვისტოში ჩაიდინეს და რამაც ჩვენი თანამოქალაქეების სიცოცხლე შეიწირა და საქართველოს ორი ისტორიული რეგიონი დაგვაკარგვინა. პირობას გაძლევთ, რომ არჩევნების შემდეგ ჩვენ აუცილებლად გავასამართლებთ კოლექტიურ “ნაცმოძრაობას“ მოღალატეობრივი ქმედებების გამო! სხვაგვარად შეუძლებელია!**

ასე ძალიან რომ გვიყვარს, ქვეყნისა, რომელიც არის და იქნება დამოუკიდებელი, თავად განსაზღვრავს საკუთარი ხალხის ბედს და მისი აღმატებულება ქართველი ხალხის გარდა, არავის მისცემს უფლებას, უკარნახოს, რა არის საქართველოსთვის კარგი, რისი უნდა გვწამდეს და რა ღირებულებებით უნდა ვიცხოვროთ!

**ერთხელ და სამუდამოდ უნდა გადავჭრათ პრობლემა, რომელიც, ფსევდოლიბერალური იდეოლოგიის სახით, უდიდეს საფრთხეს უქმნის ჩვენი ქვეყნის, ჩვენი რწმენისა და შვილების მომავალს. საქართველოში ვერავინ უნდა დააყენოს ეჭვქვეშ ქართველი დედის დედობა და ქართველი მამის მამობა. ვეღარავინ უნდა ბედავდეს ცხოვრების გაუკუღმართებული წესის პროპაგანდას, რაც დღეს უკონტროლოდ მოედინება რადიკალური ჯგუფების მიერ მართული მედიიდან. გასულმა წლებმა დაადასტურა, რომ მე და ჩემი გუნდი ვართ გარანტი სიტყვის და გამოხატვის თავისუფლების, მაგრამ არ დავუშვებთ, რომ აგრესიულმა უმცირესობამ თუნდაც ვერბალურად იძალადოს ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობაზე.**

ისტორიულად, ჩვენი ქვეყნის ერთიანობა მთავარი საზრუნავი იყო გურულებისათვის. თქვენ დიდი ღვაწლი გაქვთ სხვადასხვა ეპოქაში საქართველოს გაერთიანებაში. ამ მხრივ, ახლაც განსაკუთრებული მომენტი გვიდგას – ჩვენ ნებისმიერ დროს მზად უნდა ვიყოთ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მშვიდობიანი გზით აღსადგენად. მმართველ გუნდს ამისათვის მაქსიმალური ლეგიტიმაცია სჭირდება. გახსოვდეთ, რომ თქვენ მიერ მონიჭებული თითოეული მანდატი არის საქართველოს გაერთიანებისთვის მიცემული ერთი ხმა.

სწორედ ამიტომ „ქართულ ოცნებას“ სჭირდება საკონსტიტუციო უმრავლესობა, რადგან ჩემ მიერ ჩამოთვლილი საკითხები – დამნაშავე პოლიტიკური აგენტურის გასამართლება და პოლიტიკური სისტემის გაჯანსაღება, ფსევდოლიბერალური ღირებულებებისგან ჩვენი ქვეყნისა და საზოგადოების დაცვა და მზადება საქართველოს გასაერთიანებლად სწორედ რომ საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვების შემთხვევაშია შესაძლებელი.

გასულ დღეებში ჩვენ გაგაცანით საკონსტიტუციო ცვლილებები, რომელთა განხორციელებასაც საკონსტიტუციო უმრავლესობის მიღების შემდეგ ვგეგმავთ და იქვე აღვნიშნეთ, რომ იყო კიდევ ერთი საკითხი, რომლის შესათანხმებლად კონსულტაციები გვესაჭიროებოდა. მართლმადიდებელ ეკლესიასთან კონსულტაციები წარმატებით დასრულდა და გვინდა წარმოგიდგინოთ კიდევ ერთი საკონსტიტუციო ცვლილება, რომელსაც ჩვენი პოლიტიკური გუნდი არჩევნების შემდეგ განახორციელებს.

**როგორც მოგეხსენებათ, საქართველო ისტორიულად ამაყობს, ერთი მხრივ, რელიგიური ტოლერანტობის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციით და მეორე მხრივ, მართლმადიდებლობით, რომელიც, მამულთან და ენასთან ერთად, ჩვენი იდენტობის ერთ-ერთი უმთავრესი საფუძველია. ისიც კარგად მოგეხსენებათ, რომ არ წყდება თავდასხმები მართლმადიდებელ ეკლესიაზე, რისი მიზანიც სწორედ საქართველოს იდენტობის შერყევაა. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ 1995 წლიდან მოქმედი კონსტიტუციური ჩანაწერი რელიგიისა და ეკლესიის შესახებ სათანადოდ არ ასახავს იმ როლს, რომელსაც მართლმადიდებელი ეკლესია ქვეყნის ცხოვრებაში ასრულებს.**

იმისათვის, რომ მართლმადიდებლობისა და მართლმადიდებელი ეკლესიის კონსტიტუციური სტატუსი კიდევ უფრო გამყარდეს და კონსტიტუციურმა ჩანაწერმა არსებული სინამდვილე უფრო ზუსტად ასახოს, საქართველოს კონსტიტუციაში მართლმადიდებლობის, როგორც ქართული სახელმწიფოს თვითმყოფადობის საყრდენის მისია მკაფიოდ აისახება. აგრეთვე ხაზი გაესმება მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებულ როლს როგორც საქართველოს ისტორიაში, ისე ჩვენი ქვეყნის თანამედროვეობაში.

**რა თქმა უნდა, საქართველოს კონსტიტუცია სრულად განამტკიცებს მართლმადიდებელი ეკლესიის დამოუკიდებლობისა და რწმენის თავისუფლების პრინციპებს.**

**მადლობა გვინდა გადავუხადოთ ეკლესიას, უწმინდესსა და უნეტარესს, მღვდელმთავრებს ჩვენი ინიციატივის მხარდაჭერისთვის, ისევე, როგორც, საზოგადოდ, იმ წვლილისთვის, რომელიც მათ საქართველოს თვითმყოფადობის დაცვასა და შენარჩუნებაში შეაქვთ.**

**ძვირფასო გურულებო!**

თქვენი შემხედვარე მტკიცედ მჯერა, რომ დამაჯერებლად გავიმარჯვებთ და ერთად შევქმნით ჩვენი ქვეყნის უკეთეს მომავალს!

**ჩემო გურულებო, მოგიწოდებთ, თქვენი, ჩვენი და ჩვენი ქვეყნის თითოეული მოქალაქის საკეთილდღეოდ, ის მრავალი ხმა, ის პოლიფონია, თქვენს გასაოცარ კრიმანჭულში რომ ისმის, გავაერთიანოთ და 26 ოქტომბერს, ქართველი ხალხის, საქართველოს და ქართული ოცნების გამარჯვების სიმღერად ვაქციოთ!“, – განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.**

**31 აგვისტო, 2024 წ.**

# ირაკლი კობახიძე: 26 ოქტომბერს აუცილებლად საქართველო გაიმარჯვებს!

## საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი კობახიძის გამოსვლა

**„მოგესალმებით ძვირფასო გურულებო, მივესალმები ჩვენს დელეგატს გურიის მხარეში ვასიკო ჩიგოგიძეს, ასევე მივესალმები ჩვენს დეპუტატებს, მთავრობის წევრებს, რომლებიც გურიიდან მრავლად არიან წარმოდგენილი მთავრობაში და პარლამენტში და რა თქმა უნდა, თითოეულ თქვენგანს მოგესალმებით ძალიან დიდი პატივისცემით და ძალიან დიდი სიყვარულით. გურულებთან არჩევნებზე და პოლიტიკაზე საუბარი ყოველთვის განსაკუთრებულად საინტერესოა.**

და ყველამ ვიცით, რომ არავის ისე კარგად არ ესმის პოლიტიკა, როგორც თქვენ, გურულებს და აქედან გამომდინარე, განსაკუთრებულად გვეამაყება, რომ გურიაში „ქართული ოცნება“ ყოველთვის დიდი უპირატესობით და დამაჯერებლად იგებს ხოლმე არჩევნებს! დიდი მადლობა თქვენ მრავალწლიანი ნდობისთვის! სწორედ ამ ნდობამ მოგვცა მშვიდობის შენარჩუნების და ქვეყნის წინსვლისა და განვითარების შესაძლებლობა 12 წლის მანძილზე. დარწმუნებული ვარ, 26 ოქტომბერსაც ერთად გავიმარჯვებთ! კიდევ ერთხელ უნდა ითქვას ის, რაც არაერთგზის ითქვა. 26 ოქტომბრის არჩევნები არის გადამწყვეტი რეფერენდუმი, სადაც ქართველმა ხალხმა უნდა გააკეთოს არჩევანი ომსა და მშვიდობას შორის, მორალურ დაცემასა და ტრადიციულ ფასეულობებს შორის, ბნელ წარსულსა და საქართველოს ნათელ, ევროპულ მომავალს შორის.

საქართველოს სჭირდება დამოუკიდებლობა, ხოლო დამოუკიდებელ საქართველოს – სუვერენული ხელისუფლება. ყველას კარგად გვახსოვს, როგორ განვითარდა საქართველოში პროცესები, როდესაც 2003 წელს, „ენჯეოების“ მეშვეობით, ხელისუფლება გარედან დაგვინიშნეს. ქვეყანას 9 წლის მანძილზე მართავდა პოლიტიკური ძალა, რომელმაც ქართული სახელმწიფოს და ქართველი ხალხის მიმართ უამრავი დანაშაული ჩაიდინა. ეს დანაშაულები იყო ავტორიტარიზმის დამყარება, ადამიანების მკვლელობა და წამება, ბიზნესის რეკეტი, ტელევიზიების მიტაცება, არჩევნების ტოტალური გაყალბება, ქვეყნის ტერიტორიების დროებით დაკარგვა.

სამწუხაროდ, ამ დანაშაულებზე დღემდე არ აუღიათ პასუხისმგებლობა იმ გარე ძალებს, რომლებმაც 2003 წელს ძალაუფლება უცხოურ აგენტურას ჩააბარეს. და ახლა იგივე ძალები გვეუბნებიან, რომ საქართველოს ევროპული მომავალი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება შედგეს, თუ ხელისუფლებაში ეს ანტიევროპული პოლიტიკური ძალა, უცხოური აგენტურა დაბრუნდება. ვინც ერთმანეთთან აიგივებს ევროპას და ადამიანების მკვლელობას, ევროპას და ადამიანების წამებას, ევროპას და ბიზნესის რეკეტს, ევროპას და ტელევიზიების მიტაცებას, ევროპას და არჩევნების გაყალბებას, ევროპას და ომს, მათ არაფერი აქვთ საერთო სინამდვილეში ევროპასთან, ყველა არის ომის პარტიის წარმომადგენელი და მათ ქართული საზოგადოება 26 ოქტომბერს აუცილებლად საკადრის პასუხს გასცემს. რთული გამოსაცნობი არაა, რატომ შეიძლება სურდეთ კონკრეტულ ძალებს ხელისუფლებაში ძველი რეჟიმის დაბრუნება. ისევ და ისევ, ყველა იმ დანაშაულისთვის რაც ჩამოვთვალე და რაც მთავარია ომისთვის, რისკენაც რადიკალური ოპოზიცია უკვე მესამე წელია ქვეყანას აქტიურად ექაჩება. საქართველოს სჭირდება არა ომი, არამედ მშვიდობა, არა განადგურება, არამედ წინსვლა და განვითარება. ძალიან მოკლედ ჩამოვთვლი იმ მიღწევებს, რომლებიც ჩვენს ქვეყანას 2012 წლის დემოკრატიულმა გარდატეხამ მოუტანა:

**– დასრულდა ავტორიტარიზმი, ადამიანების მკვლელობის, წამებისა და არაადამიანური მოპყრობის სისტემური პრაქტიკა;**

**– გათავისუფლდა ბიზნესი და მედია;**

**– 2,5-ჯერ შემცირდა ციხეებში პატიმრების რაოდენობა და 10-ჯერ შემცირდა პატიმრების სიკვდილიანობის მაჩვენებელი;**

**– 3-ჯერ გაიზარდა ქვეყნის ეკონომიკა და სახელმწიფო ბიუჯეტი;**

**– 3-ჯერ გაიზარდა ინფრასტრუქტურის მშენებლობის ტემპი**

**– ამოქმედდა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა;**

**– 3-ჯერ გაიზარდა პენსიები და სოციალური დახმარების პაკეტი; – ყოველწლიურად 300 მილიონ ლარზე მეტით ფინანსდება სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის პროგრამები;**

**– 700 ათასამდე მოქალაქემ დააღწია თავი სიღარიბეს.**

**ამ ყველაფერთან ერთად, შევინარჩუნეთ 12-წლიანი უწყვეტი მშვიდობა და საქართველო გახდა ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყანა.**

ეს ყველაფერი მოიტანა 2012 წლის დემოკრატიულმა გარდატეხამ და, რა თქმა, უნდა უდიდესი მადლობა უნდა გადავუხადოთ ამ ყველაფრისთვის ჩვენი პარტიის დამფუძნებელს და საპატიო თავმჯდომარეს ბატონ ბიძინა ივანიშვილს. საქართველოს წინსვლა და განვითარება უნდა გაგრძელდეს. 1 ოქტომბერს საზოგადოებას წარვუდგენთ „ქართული ოცნების“ ახალ საარჩევნო პროგრამას. ეს იქნება ერთადერთი პროგრამა, რომელიც იქნება, ერთდროულად, ამბიციურიც და განხორციელებადიც. ჩვენი საარჩევნო პროგრამით უზრუნველყოფილი იქნება საქართველოს წინსვლა ყველა მიმართულებით – ეკონომიკური ზრდით დაწყებული, საქართველოს საგარეო-პოლიტიკური პოზიციების გაძლიერებით დამთავრებული. აქვე, კიდევ ერთხელ უნდა გავიხსენოთ, რომ ყოველგვარი განვითარება შეუძლებელია, თუ არ გვექნება მშვიდობა და სიმშვიდე ქვეყანაში. და გურულებმა ყველაზე კარგად იცით მშვიდობის ფასი.

სწორედ ამიტომ 26 ოქტომბერს არჩევანი, უპირველეს ყოვლისა, მშვიდობის სასარგებლოდ უნდა გაკეთდეს. მე დარწმუნებული ვარ, 26 ოქტომბერს გურია და სრულიად საქართველო კიდევ ერთხელ, ახლა უკვე მეცხრედ აირჩევს მშვიდობის პარტიას, აირჩევს „ქართულ ოცნებას“, რაც მორიგ ჯერზე საქართველოს მშვიდობიანი და სწრაფი განვითარების გარანტია გახდება. 26 ჩვენი დღეა და 26 ოქტომბერს აუცილებლად საქართველო გაიმარჯვებს!“





# ტყიბულის განვითარებაზე პასუხისმგებელია მთავრობა!

## ირაკლი კობახიძე 31 აგვისტოს ტყიბულში იმყოფებოდა

**მთავრობის მეთაურმა მეშახტეებს ქალაქისა და ქვეყნისთვის გაწეული სამსახურისთვის მადლობა გადაუხადა და საწარმოში არსებულ შრომის პირობებზე მათი მოსაზრებები მოისმინა.**

**პრემიერმა აღნიშნა, რომ ხელისუფლება მაქსიმალურად ხელს შეუწყობს საწარმოში შრომის უსაფრთხოებისა და სამუშაო გარემოს კიდევ უფრო გაუმჯობესებას.**

**საწარმოში ამჟამად 1300-მდე ადამიანია დასაქმებული.**

ირაკლი კობახიძე საქნახშირის საწარმოში ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრ მიხეილ სარჯველაძესთან, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრ ირაკლი ქარსელაძესთან, იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულ ლევან ზალკალიანთან, საკანონმდებლო და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად იმყოფებოდა.

მთავრობის მეთაურმა ტყიბულში დაღუპულ მეშახტეთა მემორიალი გვირგვინით შეამკო და პატივი მიაგო მათ ხსოვნას.

დღეს ტყიბული ახლა ბევრად უფრო განვითარებულია, ვიდრე იყო 10, 20 და 30 წლის წინ; ტყიბულში განხორციელებული ურბანული განახლების პროექტი მთელი ქვეყნის მასშტაბით გამორჩეულია, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ ტყიბულქალაქობისა და მეშახტის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

მთავრობის მეთაურის შეფასებით, ტყიბული გამორჩეული ქალაქია, არაჩვეულებრივი ტყიბულელებით, გამორჩეულად ღირსეული, თბილი, მშრომელი და პატრიოტი ადამიანებით.

ირაკლი კობახიძემ ადგილობრივ მოსახლეობას ტყიბულქალაქობა მიულოცა და ქალაქის განვითარებაზე ისაუბრა.

„ისევე, როგორც ყველა რაჭველისთვის, ჩემთვისაც ტყიბული გამორჩეულად ახლობელი ქალაქია. დაახლოებით 30 წელია, 90-იანი წლებიდან მოყოლებული, თითქმის ყოველ წელს მიწევს ტყიბულში ჩამოსვლა და ჩემ თვალწინ გაიარა ტყიბულის განვითარებამ, ისტორიამ მთელი ამ 30 წლის განმავლობაში. მახსოვს 90-იანი წლები, ურთულესი წლები ჩვენი ქვეყნისთვის და განსაკუთრებით ამ ქალაქისთვის. ყველას გვახსოვს, რომ განსაკუთრებულად აისახა კონკრეტული მოვლენები ტყიბულის განვითარებაზე 90-იან წლებში, და შემდეგი 10 წელიც გვახსოვს, როდესაც ნაკლები ყურადღება ექცეოდა ამ ქალაქს. ტყიბული დღეს არის გამორჩეულად ლამაზი და ამაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანა პროექტმა, რომელიც ინფრასტრუქტურის სამინისტრომ განახორციელა. როგორც რაჭველმა, არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ არაჩვეულებრივი სანახაობაა ნაქერალიდან დანახული ტყიბული, ულამაზესი ლანდშაფტი, რომელიც ახასიათებს ამ ქალაქს“, – განაცხადა პრემიერმა.

ირაკლი კობახიძემ აღნიშნა, რომ ტყიბული და მეშახტე ერთმანეთისგან განუყოფელი ცნებებია და მეშახტეებს პროფესიული დღე მიულოცა.

მთავრობის მეთაურმა იმ ნაბიჯებზე ისაუბრა, რომლებიც 2019 წლის შემდეგ მეშახტეების ხელფასების ზრდის, შახტების გადაიარაღებისა და შრომის უსაფრთხოების გაუმჯობესების კუთხით გადაიდგა და განაცხადა, რომ ეს პროცესი გაგრძელდება.

**„ტყიბული იწოდება მეშახტეების ქალაქად და მინდა ყველას მოგილოცოთ მეშახტის დღე. მეშახტის შრომა არის გამორჩეულად რთული შრომა, თუმცა ასევე – გამორჩეულად საამაყო. მინდა განსაკუთრებული პატივისცემა გამოვხატო თითოეული მეშახტის მიმართ. 2017-2018 წლებში იყო ჯერ კიდევ ძალიან ბევრი პრობლემა, რაც დაკავშირებული იყო მეშახტის შრომასთან. იყო პრობლემები შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, შახტების გადაიარაღებასთან, შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებით და მიხარია, რომ 2019 წლის შემდეგ, ეტაპობრივად, ეს პრობლემები გადაჭრის გზაზეა, – 80%-ით გაიზარდა მას შემდეგ მეშახტეების ხელფასი, გადაიარაღდა შახტები, გაუმჯობესდა შრომის უსაფრთხოება და, რა თქმა უნდა, ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ პროცესი ასე გაგრძელდეს. ჩვენ გვაქვს კონკრეტული დაპირება იმასთან დაკავშირებით, რომ გაგრძელდება შახტების განვითარება, რაც, რა თქმა უნდა, აისახება ტყიბულელებზე, მათ დასაქმებაზე, შრომის ანაზღაურებაზე და ამაზე ჩვენ, საქართველოს მთავრობა, ვიღებთ პასუხისმგებლობას. ჩვენ ვართ პასუხისმგებელნი იმაზე, რომ ტყიბულს არ მოვაკლოთ მზრუნველობა, ყურადღება და გარწმუნებთ, რომ შემდეგი წლების განმავლობაშიც აუცილებლად განვაგრძობთ ტყიბულზე ზრუნვას!“**

მეშახტის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიების სტუმრებს სიტყვით მიმართეს იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულმა **ლევან ზალკალიანმა** და ტყიბულის მერმა **დავით ჩერქეზიშვილმა.**

ღონისძიებას საქართველოს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წევრები და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები დაესწრნენ.

# ქართველების გარდა, კიდევ ვინ არ უყვარს „ხალხთმოძულე“ ბიძინა ივანიშვილს, ამხანაგო ხაზარაძევ?!

# დიახ, რომ ვერავინ შეძლოს ეკლესიის ხელყოფა!

# კაპიტანი გიგაური ცამდე მართალია...

**„მსოფლიო პრეზიდენტ“ ვოლოდიმერის (ზელენსკის) ყალბი თაყვანისმცემლები ალბათ არ დამეთანხმებიან, მაგრამ გასული კვირის განმავლობაში რუსეთ-უკრაინის ფრონტზე განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე, ჩემი აზრით, უახლოეს მომავალში უკრაინის სრული კრახი გარდაუვალია. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ნახევრად ოკუპირებული და დანგრეულ-გაპარტახებული უკრაინის არმია რუსეთის ტერიტორიაზე, კურსკის ოლქში შეიჭრა. მოწინააღმდეგის ავანტიურას რუსეთმა ათას კილომეტრზე გადაჭიმული ფრონტის ბევრ უბანზე საბრძოლო მოქმედებების გააქტიურებით უპასუხა. პარალელურად, დაიწყო სტრატეგიული ობიექტების მასირებული დაბომბვები მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე. იგივე ტაქტიკით მოქმედებს უკრაინაც – დასავლეთიდან მიღებული თანამედროვე სამხედრო თვითმფრინავების გამოყენებით ცდილობს გაანადგუროს სტრატეგიული ობიექტები რუსეთის ტერიტორიაზე. მისი ძირითადი სამიზნეები რუსული აეროდრომები, ელექტროსადგურები (მათ შორის – ატომური) და ნავთობბაზებია.**

არსებობს საომარი მოქმედებების განვითარების სხვა მიმართულებაც – ომში დასავლეთის ქვეყნების უშუალო ჩართვა. ამაზე მიუთითებს უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრ დმიტრო კულებას განცხადება ჟურნალისტებისადმი ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე – **„უკრაინას სურს ნებართვა რუსეთის სიღრმეში დასავლური იარაღის გამოყენებით ლეგიტიმურ სამიზნეებზე დარტყმებისთვის. თუ მოგვაწვდიან რაკეტების საკმარის რაოდენობას, თუ დარტყმის უფლებას მოგვცემენ, მნიშვნელოვნად შევამცირებთ რუსეთის შესაძლებლობებს, ზიანი მიაყენოს ჩვენს კრიტიკულ ინფრასტრუქტურას“.**

არანაკლებ საინტერესოა იმავე შეხვედრაზე ჟოზეფ ბორელის განცხადებაც. მან დაგმო რუსეთის თავდასხმები უკრაინის მშვიდობიან მოსახლეობაზე და, რა თქმა უნდა, არაფერი უთქვამს უკრაინის ანალოგიურ ქმედებებზე: **„იარაღი, რომელსაც ჩვენ ვაწვდით უკრაინას, სრულად უნდა იქნას გამოყენებული და შეზღუდვები უნდა მოიხსნას, რათა უკრაინელებმა შეძლონ, მიზანში ამოიღონ ობიექტები, საიდანაც მათ რუსეთი ბომბავს.**

**იმის თქმა მინდა, რომ, თუ მოვლენები ზელენსკი-ბორელის თეორიის მიხედვით განვითარდა, ახალი მსოფლიო ომი და კაცობრიობის სრული განადგურება გარდაუვალია. მით უფრო, ისტორიული გამოცდილებიდან გამომდინარე, რუსეთის ომით შეშინება ერთობ უგუნური საქმეა. ვფიქრობ, ეს იცის დასავლეთმა და იგი მალე რუსეთის საბოლოო დამარცხებაზე კი არა, მასთან მოლაპარაკებების დაწყებაზე ალაპარაკდება.**

* * *

**გასულ კვირას გავრცელდა ინფორმაცია, რომ უახლოეს მომავალში იგეგმება აშშ-სა და ჩინეთის პრეზიდენტების შეხვედრა. ამის თაობაზე ჩვენს ოპოზიციას (ჯერჯერობით მაინც) არავითარი პროტესტი არ გამოუხატავს. კულუარებიდან გამოჟონილი ხმებით, შეხვედრა წინასწარ იყო შეთანხმებული ქალბატონ თინა ბოკუჩავასა და თვით ლევან ხაბეიშვილთან. ჩინეთ-ამერიკის ამ თვითნებურ გადაწყვეტილებაზე ხაზარაძის და ელისაშვილის პოზიცია ჯერჯერობით უცნობია.**

უკვე გეცოდინებათ, რომ ბულგარეთში მიიღეს ქართულის ანალოგიური კანონი ლგბტ პროპაგანდის წინააღმდეგ. საინტერესოა, რომ ბულგარეთის პარლამენტის ამ გადაწყვეტილებას ოკეანის გაღმიდან, ევროკავშირის წევრი მეზობლებიდან, თინა ხიდაშელის ოფისიდან, ბულგარული ოპოზიციიდან და არასამთავრობო ორგანიზაციებიდან ზუსტად ის რეაქცია მოჰყვა, რაც საქართველოში: კანონი არ შეეფერება დემოკრატიზმის პრინციპებს, მავნებლურია, საშიშია ბულგარელი ხალხის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის და, რაც მთავარია – ქართულის ანალოგიური ბულგარული კანონი არის რუსული!

* * *

**გასულ** კვირას, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან, თუ არ ვცდები, უკვე მეხუთედ დაიწყო საუბარი ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის კიდევ უფრო გაძლიერების, მეტიც, მისი სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების თაობაზე. გავრცელებული ინფორმაციით, ხელისუფლებამ საპატრიარქოს, წმინდა სინოდს ეკლესიის როლის გაძლიერების მიზნით კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა შესთავაზა. შეთავაზება ოფიციალურად იმით მართლდება, რომ **„ვერავინ შეძლოს ეკლესიის ხელყოფა“.**






**ხელისუფლებამ საპატრიარქოს, წმინდა სინოდს ეკლესიის როლის გაძლიერების მიზნით კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა შესთავაზა. შეთავაზება ოფიციალურად იმით მართლდება, რომ „ვერავინ შეძლოს ეკლესიის ხელყოფა“.**

**საკონსტიტუციო ცვლილებები არ გულისხმობს მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას, ან მისთვის საკანონმდებლო თვალსაზრისით რაიმე უპირატესობის მინიჭებას. საუბარია, ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ქვეყნის, ისტორიის წინაშე დამსახურების საკანონმდებლო დონეზე აღიარებასა და მისი უფლებების დაცვაზე.**

**ბიძინა ივანიშვილი**

გასულ კვირაშივე გაიმართა შეხვედრა საზოგადოების წარმომადგენლებსა და წმინდა სინოდის წევრებს შორის. როგორც მოსალოდნელი იყო, წმინდა სინოდმა თავი შეიკავა ხელისუფლების ხელგაშლილობის მიღებისგან. წარუმატებელი შეხვედრის შემდეგ ახალქალაქის, კუმურდოსა და კარის ეპარქიის მიტროპოლიტმა, სააკაშვილის პირადმა მოძღვარმა მეუფე ნიკოლოზმა ჟურნალისტებთან განაცხადა, რომ ეს იყო „წინასაარჩევნოდ ამომრჩეველთა გულის მოსაგები შეთავაზება“. მისი ეს გამოსვლა მაშინვე სათავისოდ თარგმნა და ევროკავშირის დროშასავით აიფრიალა ქართული ეკლესიის, პირადად პატრიარქისა და სხვა მღვდელმთავრების ბინძურად მლანძღველ-მაგინებელმა ოპოზიციამ. ხელისუფლებამ კი გაუგებრობად და შეურაცხყოფად აღიქვა. პარლამენტის წევრის, „ხალხის ძალის“ ერთ-ერთი ლიდერის გურამ მაჭარაშვილის თქმით, „ის, რაც მეუფე ნიკოლოზმა იკადრა, არ ჯდება არც ეკლესიურ, არც ადამიანურ და არც მორალურ ეთიკაში. დიახ, მართლმადიდებელი ეკლესიის გაძლიერება და მისი დაცვა კონსტიტუციის დონეზე, ჩვენი წინასაარჩევნო დაპირებაა და ამას სწორედ ამომრჩევლის გულის მოსაგებად ვაკეთებთ“.

იურისტ ჯონი ხეცურიანის განცხადებით, **„ჩვენ მაშინ (შევარდნაძის პრეზიდენტობისას, თ. ქ.) უარი ვთქვით მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად აღიარებაზე და ავირჩიეთ ის მოდელი, რომელიც დღეს საქართველოში მოქმედებს. კერძოდ, სახელმწიფო და ეკლესია, ერთმანეთში დებენ კონსტიტუციურ შეთანხმებას, სადაც განსაზღვრულია მართლმადიდებელი ეკლესიის სტატუსი, მისი მნიშვნელობა და სახელმწიფოსთან ურთიერთობის ფორმები. რაც შეეხება მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას, აქ მოქმედებს სუბორდინაციის პრინციპი – ეკლესია იმორჩილებს სახელმწიფოს ან სახელმწიფო – ეკლესიას. ეს საფრთხე ჩვენთან არ არსებობს, რადგან ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობა მოწესრიგებულია კონსტიტუციური შეთანხმებით, რომელშიც ცვლილებების შეტანა მხოლოდ მხარეთა თანხმობით შეიძლება.** თავის დროზე, მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების წინააღმდეგი ვიყავი და ჩემი პოზიცია არ შეცვლილა“.

**სამწუხაროდ, არ მახსენდება დღეს მოღვაწე რომელიმე ოპოზიციონერ პოლიტიკოსს (ჯონი ხეცურიანისა და, თუნდაც, ჩემგან განსხვავებით) ოდესმე რაიმე პროტესტი გამოეხატათ ქართული მართლმადიდებელი ეკლესიისთვის პრივილეგიების მინიჭების, მისი სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებისა და საქართველოში სამეფო ინსტიტუტის აღდგენის მოთხოვნების გამო. ამიტომაც ვამბობ, რომ არ მჯერა მათი გულწრფელობისა – ხვალ რომ ხელისუფლებაში სააკაშვილი აღმოჩნდეს და მეფობა-პატრიარქობა მოინდომოს, უკლებლივ ყველა უყოყმანოდ გვერდით დაუდგება!**

**ვფიქრობ,** 31 აგვისტოს გურიაში გამართულ შეხვედრაზე სპეკულაციურ კამათს მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შესახებ წერტილი დაუსვა „ქართული ოცნების“ საპატიო თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილმა. მისი განცხადებით, საკონსტიტუციო ცვლილებები არ გულისხმობს მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას, ან მისთვის საკანონმდებლო თვალსაზრისით რაიმე უპირატესობის მინიჭებას. საუბარია, ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ქვეყნის, ისტორიის წინაშე დამსახურების საკანონმდებლო დონეზე აღიარებასა და მისი უფლებების დაცვაზე.

* * *

**საკონსტიტუციო** სასამართლოში დაიწყო ოპოპარტიების, ოპოპარლამენტარების, ოპოარასამთავრობოებისა და ოპოპრეზიდენტის სარჩელის განხილვა „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის“ შესახებ კანონის გაუქმების თაობაზე.

პრეზიდენტის წარმომადგენელმა გიორგი ბურჯანაძემ დაასახელა ის სამი „გამოუსწორებელი ზიანი“, რასაც მისი ამოქმედება მოგვიტანს: **„პირველი საკითხი, ეს ეხება სადავო ნორმების სტიგმატიზებას და სტიგმატიზებიდან მომდინარე, ისეთი იარლიყის მიყენებას, რომელიც ორგანიზაციებისთვის იწვევს გამოუსწორებელ რეპუტაციულ ზიანს, რაც ართულებს ადამიანების საქმიანობას; მეორე საკითხი ეხება გამოუსწორებელ ზიანს, რომელმაც შესაძლოა, სიცოცხლის და ჯანმრთელობის და ადამიანების უსაფრთხოების ხელყოფამდე მიგვიყვანოს, რაც ოკუპირებულ ტერიტორიებთანაა დაკავშირებული; მესამე საკითხი ეხება კონფიდენციალური ინფორმაციის გასაჯაროებას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ორგანიზაციების მე-15 მუხლით დაცული ვალდებულების შესრულების ხელყოფა და ამ ორგანიზაციების უკან მყოფი პირების უფლებების დარღვევა“.**

ძალიან მიმძიმს, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ პრეზიდენტის წარმომადგენლის გამოსვლას ვერაფერი გავუგე. ისიც კი მომეჩვენა, რომ თვით მოსამართლეებიც ცოტა დაბნეულად გამოიყურებოდნენ. იმედია, ბატონი ბურჯანაძე ოდესმე აგვიხსნის, რას ნიშნავდა მისი ეს ნათქვამი.

სამაგიეროდ, ავტორის გონებრივი მონაცემებისა და მორალური ორიენტაციის შეფასების სრულ შესაძლებლობას იძლევა ერთ-ერთი მოსარჩელის, მამუკა ხაზარაძის აი, ეს ბრძნული მიეთმოეთი: **„საკონსტიტუციო სასამართლო ამ წუთებში განიხილავს სარჩელს რომლითაც ჩვენ, ქართველი ხალხი კიდევ ერთხელ მოვითხოვთ „რუსული კანონის“ შეჩერებას, რომელსაც შედეგად უკვე მოჰყვა არაერთი გაჩერებული საერთაშორისო დახმარება თუ პროექტი, რაზეც უამრავი ჩვენი თანამოქალაქის ჯანმრთელობა, განათლება და მომავალი იყო დამოკიდებული! ამ ორ დღეში დავინახავთ, რამდენად თავისუფალია სასამართლო რუსული მთავრობის წნეხისგან. ეს არის მათთვის ტესტი – დადგება საქართველოს და ქართველი ხალხის ინტერესების გვერდით, რომელმაც აპრილის აქციებზე უპრეცედენტო ერთობა აჩვენა, თუ დადგება აკვარიუმში გამოკეტილი, ხალხთმოძულე „უხეირო დიქტატორის“ მხარეს. ბიძინა ივანიშვილს მინდა ვუთხრა – საბოლოო სიტყვას მაინც ქართველი ხალხი იტყვის. აუცილებლად გავათავისუფლებთ ჩვენს ქვეყანას ხელისუფლებისაგან, რომელიც ემსახურება რუსეთს და შევცვლით მას ხელისუფლებით, რომელიც ქართველ ხალხს ემსახურება. ერთად ავაშენებთ ძლიერ საქართველოს!“**



**იმედია, ოდესმე ალბათ ქართულ ფულზე შეყვარებული მამუკა ხაზარაძეც აგვიხსნის, ქართველი ხალხის გარდა, კიდევ ვინ სძულს „ხალხთმოძულე“ ბიძინა ივანიშვილს.**

**იმედია, ოდესმე ალბათ ქართულ ფულზე შეყვარებული მამუკა ხაზარაძეც აგვიხსნის, ქართველი ხალხის გარდა, კიდევ ვინ სძულს „ხალხთმოძულე“ ბიძინა ივანიშვილს.**

ოპოზიციად წოდებული პუბლიკის მიერ საზოგადოების ყურადღების მიქცევის მიზნით წამოწყებული ამ „საკონსტიტუციო თამაშის“ საბოლოო შედეგი ქვეყნის ყველა მეტნაკლებად მოაზროვნე მკვიდრისთვის წინასწარ ცნობილია. გამარჯვების რაიმე იოტისოდენა იმედი არც თავად მოსარჩელეებს აქვთ.

* * *

**გასულ** კვირას ქართველი საზოგადოების ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა (და სრულიად სამართლიანადაც!) ეკა გიგაური, მოფერებით, კაპიტანი გიგაური – „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ უცვლელი აღმასრულებელი დირექტორი, მიშას ხელისუფლებისთვის სასიკეთოდ და მოქმედი ხელისუფლების წინააღმდეგ დაუღალავი მებრძოლი. გავრცელდა სენსაციური კადრები 14 აგვისტოს მისი ინკოგნიტო შეხვედრიდან თანამოაზრეებთან. ქალბატონი ეკა მათ ალალად ეუბნება, ვინაიდან ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვება გამორიცხულია, ჩვენ, ოპოზიციამ არა წინასაარჩევნო, არამედ არჩევნების შემდეგ საკეთებელ საქმეებზე უნდა ვიზრუნოთ, აქცენტი სახელმწიფო გადატრიალებასა და ამ მიზნით, ახალგაზრდობის მომზადებაზე უნდა გადავიტანოთ. ფინანსები ამისთვის ესტონეთიდან და რუმინეთიდან საქართველოში შექმნილი ახალი არასამთავრობო ორგანიზაციების მეშვეობით შემოვაო.

ახალი და უცნაური აქ არაფერია. თუნდაც მე, ერთი უცნობი ჟურნალისტი, ჯერ კიდევ ოცი წლის წინათ, ნაცების ხელისუფლებაში მისვლისთანავე ვწერდი და მერე ბევრჯერ გავიმეორე, რომ ისტორიის განვითარების კანონზომიერებიდან გამომდინარე, სააკაშვილის ბანდას ხელისუფლებაში დასაბრუნებლად ერთადერთი (ერთადერთი!) გზა ექნებოდა – **სახელმწიფო გადატრიალება!** ეს იციან თვითონ ნაცბანდამ, მისმა უცხოელმა მხარდამჭერებმა, მისმა აქაურმა ძალადპარტნიორებმა და, რა თქმა უნდა, იცის ხელისუფლებამ, რომელიც, თუ რაღაც სასწაული არ მოხდა, ამას არ დაუშვებს. სამწუხაროდ, არ იცის ახალგაზრდობის იმ ნაწილმა, ვისი სიცოცხლის ფასადაც უცხოელი „მეგობრების“ მიერ დაფინანსებული კოლექტიური ეკა ხელისუფლებაში აღზევებას გეგმავს.

* * *

**კინაღამ** დამავიწყდა – გასულ კვირას აქტიურად მიმდინარეობდა როგორც ოპოპარტიების, ისე „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო კამპანია. რასაც ახლა ვიტყვი, მკაცრად გასაიდუმლოებული ინფორმაციაა და მეც ჩემს ოფისში მხოლოდ ჩემს მეუღლეს, ევას ჩავჩურჩულე – კაპიტანი გიგაური ცამდე მართალია, ქართველი ამომრჩევლების განწყობიდან გამომდინარე, ოპოზიციამ, შეიძლება ხუთპროცენტიანი ბარიერიც კი ვერ გადალახოს. მათი ერთადერთი იმედი მართლაც სახელმწიფო გადატრიალებაა.

ისე, საინტერესოა, ამ ემელიან პუგაჩოვზეც მეტად მამაცი გოგონასთვის, სააკაშვილ-მერაბიშვილმა კაპიტანზე მაღალი წოდება რად ვერ გაიმეტეს?

**ვინაიდან ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვება გამორიცხულია, ჩვენ, ოპოზიციამ არა წინასაარჩევნო, არამედ არჩევნების შემდეგ საკეთებელ საქმეებზე უნდა ვიზრუნოთ, აქცენტი სახელმწიფო გადატრიალებასა და ამ მიზნით, ახალგაზრდობის მომზადებაზე უნდა გადავიტანოთ. ფინანსები ამისთვის ესტონეთიდან და რუმინეთიდან საქართველოში შექმნილი ახალი არასამთავრობო ორგანიზაციების მეშვეობით შემოვა.**

**ეკა გიგაური**



**თეიმურაზ ქორიძე**
01. 09. 2024

# საუკუნესმიღწეული მხატვრის ახდენილი ოცნება



**ალექსანდრე (შურა) ციხელაშვილი დაიბადა ხაშურის რაიონის სოფელ სავანისუბანში. ოჯახში მეშვიდე შვილი იყო. ხატვის ნიჭი ბავშვობიდან გამოავლინა, მუდამ ხატავდა, თუ ქაღალდი და ფანქარი არ ჰქონდა, ნახშირითაც იოლად გადიოდა – მოხატული ჰქონდა ქვები, კედლები. მამისგან მუსიკალური ნიჭიც გამოჰყვა –შესანიშნავად უკრავდა სალამურზე, ხმაც ხელს უწყობდა და კონსერვატორიაშიც კი ჩააბარა, მაგრამ მიზეზთა გამო კვლავ ხატვამ სძლია და სწავლა იაკობ ნიკოლაძის სამხატვრო სასწავლებელში გააგრძელა, შემდეგ სამხატვრო აკადემიაც დაამთავრა. მისი ტილოები ინახება კერძო კოლექციებში, როგორც საქართველოში, ასევე მთელ მსოფლიოში. მან მოხატა საბერძნეთში, ქალაქ სალონიკის პორტის ორი უზარმაზარი პანო – ალექსანდრე მაკედონელი დიდებით შედის სალონიკში. გააფორმა 1980 წლის მოსკოვის ოლიმპიადა, ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პორტრეტების გალერეა, ილია ჭავჭავაძის, ოტია იოსელიანისა და სხვა ქართველ კლასიკოსთა ნაწარმოებების ილუსტრაციები, გააფორმა ქართული და საზღვარგარეთის ქვეყნების ხალხთა ზღაპრები.**

ამჟამად მუშაობს შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციებზე. მისი შემოქმედება მოიცავს ათასობით ფერწერულ და გრაფიკულ ნამუშევრებს. „ქეთევან დედოფლის საზოგადოების“ დაკვეთით დიდმოწამე დედოფლის ტილოს შექმნა აქვს გადაწყვეტილი. წელს მხატვარს 95 წელი შეუსრულდა.

**ნაძალადევიდან დილის ათ საათზე გავედით. სამარშრუტო ტაქსში „ქეთევან დედოფლის საზოგადოების“ წევრები შეკრებილიყვნენ, ერთმანეთისთვის დიდი ხნის ნაცნობები, საერთო საქმისთვის თავდადებულნი. სანამ ჩვენი უფროსი კოლეგა, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, არაერთი მამულიშვილური საქმის ინიციატორი და ამგვარ წამოწყებათა თაოსანი, მკვლევარი და ენთუზიასტი გვანჯი მანია მასპინძლებს ჩემს თავს წარუდგენდა, მათ გულითად საუბარს ვუსმენდი და უამრავი რამ გავიგე „ქეთევან დედოფლის საზოგადოების“ საქმიანობიდან... გარეთ ზაფხულის შხაპუნა წვიმა უღმერთოდ ასველებდა არემარეს. ასე გაგრძელდა მცხეთამდე და სვეტიცხოვლის ტაძართან მისულებს წინასწარ გამზადებული ქოლგების გამოყენებაც არ დასჭირვებიათ, ისე გამოიდარა და ტაძრის ეზოში შეკრებილი უამრავი მომლოცველი თუ ტურისტი, რომელთაგან, ჩემდა გასაკვირად ინდოელები, ჩინელები და ყაზახები ჭარბობდნენ ევროპელებს, ისევ თაკარა მზის სხივებში გაახვია. ტაძრის შესასვლელში, ხელმარცხნივ ქეთევან დედოფლის, დიდმოწამე ქეთევან ბაგრატიონის მართლაც საოცარი ოსტატობით შესრულებულ ხატთან შევჩერდით. თურმე ეს ხატი ტაძარს უცხოელმა ხატმწერმა ცოლ-ქმარმა წმინდანის დიდი სიყვარულისა და პატივისცემის ნიშნად შესწირა, მათ სხვადასხვა წყაროებიდან შეუტყვიათ ირანში წამებული დედოფლის ისტორია, საქართველოში ჩამობრძანებულან, ქართული ხატწერის სკოლის შედევრებს გაცნობიან და უნიკალური ხატიც შემდგომ ჩამოსვლაზე სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში დაუვანებიათ. ხატის წინ პარაკლისი გადაიხადეს ქეთევან წამებულის სახელზე, შემდეგ გეზი კასპისკენ ავიღეთ.**

* * *

**წლეულს** „ქეთევან დედოფლის საზოგადოება“ წმინდანის მოწამეობრივი აღსასრულის – 400 და დაბადებიდან 450 წლისთავისადმი უამრავ ღონისძიებას გეგმავს. სწორედ ამასთან დაკავშირებით გადაწყვიტეს, სწვეოდნენ საქართველოს ერთ-ერთ უძველეს ქალაქს და კასპში მოენახულებინათ ცნობილი მეცენატის, საქართველოს დამსახურებული ინჟინრის, გამომგონებლის, მწერალთა კავშირის წევრისა და საპატიო კასპელის **უშანგი მოსიაშვილის** მიერ შექმნილი ნახატების გალერეა, რომელიც ამ დიდებული პიროვნების გარდაცვალების შემდეგ ანდერძისამებრ კასპელებს გადაეცათ და რომლის მონახულების საშუალებაც არა მარტო საქართველოს მოქალაქეებს, არამედ მსოფლიოს ყველა ქვეყნის წარმომადგენელს შეუძლია, ვინც კი ჩვენი ისტორიით დაინტერესდება. მცხეთაშივე შემოგვიერთდა ჩვენი მეგობარი, შესანიშნავი პოეტი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს პირველი პრეზიდენტის უახლოესი და უერთგულესი პიროვნება, კასპის ყოფილი პრეფექტი, ბატონი **ჯემალ დავლიანიძე.**

გულწრფელად უნდა გითხრათ, რომ ბატონი გვანჯი მანიას შემოთავაზებას, „ქეთევან დედოფლის საზოგადოების“ მიერ მოწყობილ ღონისძიებაში მიმეღო მონაწილეობა, სიხარულით დავთანხმდი, რადგან ჩვენთან ერთად იქნებოდა საქართველოს დამსახურებული მხატვარი, მეტად პოპულარული და ყველასათვის ცნობილი პიროვნება, ჩემი დიდი ხნის მეგობარი **ალექსანდრე (შურა) ციხელაშვილი.** სწორედ შურა ციხელაშვილმა გააცოცხლა საქართველოს ჰეროიკული ისტორია უზარმაზარ ტილოზე, რომელიც ახლა უნდა გვენახა. ბედნიერი ვიყავი იმის გამოც, რომ ათიოდე წლის წინ, როდესაც უშანგი მოსიაშვილმა გადაწყვიტა, ყოფილი საბჭოეთის დროს ერთ-ერთი საკავშირო მნიშვნელობის მქონე უძლიერესი კასპის ელექტრომოწყობილობის ქარხანა დანგრევა-განადგურებისგან ეხსნა, შეენარჩუნებინა და ასობით თანამშრომელი უსახსროდ არ დარჩენილიყო, შეისყიდა, შეძლებისდაგვარად აამუშავა, იქაურობას ახალი სიცოცხლე შთაბერა და ქარხნის ყოფილ სპორტდარბაზში, რომელიც ფარღალალა შენობად დარჩენილიყო, ზემოხსენებული მუზეუმი მოეწყო. სწორედ მაშინ შურა ციხელაშვილის წყალობით გავიცანი ეს დიდი პიროვნება და იმ დღიდან მოყოლებული, თითქმის ყოველ კვირა დღეს მე და ცნობილი ფოტოხელოვანი **გივი ჯოლბორდი** კასპს ვსტუმრობდით. უკვე აღარ ვითვლებოდით სტუმრად და ჩვენვე ვმასპინძლობდით უამრავ ცნობისმოყვარეს, ვინც კი შეიტყობდა ამ მართლაც მამულიშვილური ინიციატივის შესახებ და ქარხნის „მუზეუმს“ სტუმრობდა. ბატონი უშანგი ყველას გულმხურვალედ, ქართული სტუმართმოყვარეობით უმასპინძლდებოდა და ეამაყებოდა, რომ ეს საშვილიშვილო საქმე წინ მიიწევდა. ქარხნის მუშები დიდი ენთუზიაზმით კრავდნენ ქვეჩარჩოებს, ჭიმავდნენ ტილოს, მხატვრის მითითებით გრუნტავდნენ. ასე ცოცხლდებოდა საქართველოს ისტორია. ბატონი შურა თვეობით ცხოვრობდა კასპში, გველოდა ყოველ კვირას და ანგარიშს გვაბარებდა – გვათვალიერებინებდა, ხანდახან ჩვენს რჩევებსაც იღებდა...

ჩემი თვალით მაქვს ნანახი, როგორ იკავებდა ადგილს უშანგი მოსიაშვილის სამუშაო კაბინეტში ტექნიკური ლიტერატურის ნაცვლად ისტორიული წიგნები, მანქანა-დანადგარების ნახაზები იცვლებოდა ისტორიულ პირთა ცხოვრების ამსახველი ისტორიული თუ ხალხური ჩანაწერებით.

**„ანტიკური დროიდან ვიწყებთ, აი, მედეა და იაზონიდან, კავკასიონზე მიჯაჭვული ამირანიდან და მერე მოვყვები“.**



ამირანი



ვახტანგ გორგასალი





უშანგი მოსიაშვილი, ფოტოხელოვანი გიგლა გიორგაძე, ალექსანდრე ციხელაშვილი და მამუკა ვაშაკიძე მუზეუმის დარბაზში.



ფარსმან მეფე რომში



„ლეგენდა თბილისზე“

**„ბატონო ალექსანდრე, სააკაძეს დიდი ადგილი დავუთმოთ, დიდ მოურავსა, ჩვენებური კაცია“, ხშირად მესმოდა სახელდახელოდ გაშლილ სუფრასთან. ჩინებული თამადა გახლდათ, უყვარდა ისტორიული ამბების მოყოლა – „ახლა ვახტანგ გორგასალი უნდა დავახატვინო შურას, აი ისა, ცხენი რომ მოიგდო მხარზე და ისე ავიდა მთაზე შეუჩერებლად. რომ ნახავენ ჩვენი ბავშვები ამას, დაინტერესდებიან, ისტორიას წაიკითხავენ, მცოდნენი გამოვლენ. ამის დაკარგვა არ შეიძლება. ამით უნდა გაიზარდონ, ისტორია არ უნდა დაიკარგოს“.** – დღესაც ჩამესმის ბატონი უშანგის ბუხუნა ხმა, ალალი, ქართლური.

პირობასაც პირნათლად ვასრულებდი – ათობით წერილი მაქვს „უშანგის მუზეუმსა“ და „შურა პაპას მხატვრობაზე“ პრესაში გამოქვეყნებული. გაზეთები – „სიყვარული“, „გაუხმაურებელი ფაქტები“, „შანსი“, „საქართველოს რესპუბლიკა“ ყოველთვის ინტერესდებოდნენ ამ მოვლენით. შემდეგ ბატონმა უშანგიმ გივი ჯოლბორდის დახმარებით შესანიშნავი ბროშურებიც გამოსცა – ფერადი ფოტოებით, შესაბამისი ტექსტებით.

* * *

**გაოცებას** ვერ მალავენ სტუმრები ამ მართლაც უნიკალური ტილოების ნახვით აღფრთოვანებულნი. იღიმება დიდი შემოქმედი, ხელს უსვამს თითოეულ ტილოს, თითქოს ეფერებაო, წამით ინაცვლებს იმ დროში, როდესაც ცარიელი, თეთრი, დაგრუნტული ტილოს წინ იდგა სახელდახელოდ მოწყობილ ხარაჩოზე, იქვე მდგომი მეგობარი უშანგი მოსიაშვილი კი რჩევებს აძლევდა – **აქ ეს დამიხატე, ხომ იცი, გიორგი სააკაძე არ დაგავიწყდეს, კასპელებთან თავი არ მომჭრაო.**

ჩათავდებოდა ერთი ზაფხულ-შემოდგომა და... შემეხმიანებოდა შურა პაპა (სიყვარულით ასე მიმართავდნენ მხატვარს), კასპში მივდივარ, უშანგიმ დარეკა – გავაგრძელოთო და გრძელდებოდა მეჩვიდმეტე, მეთვრამეტე, მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს ისტორია, „გიორგი ბრწყინვალე“, „მონღოლთა განდევნა საქართველოდან“, „მარტყოფის ბრძოლა“, „ბაზალეთი“, „ცხრა ძმა ხერხეულიძე“, „ქეთევან დედოფლის წამება“, „ისევ გიორგი სააკაძე“ – როგორ ემშვიდობება ნაღალატევი მოურავი სამშობლოს, „ლომებთან შებრძოლება“, „მარტყოფის ბრძოლა“, „კრწანისი“, „პატარა კახი“, „სამოციანელები“, „ილიას მკვლელობა“... გრძელდებოდა თანამედროვეობაც, პატრიარქი, ვასილ მჟავანაძე, სახელოვანი სპორტსმენები, დამოუკიდებლობის წლები. სულ ასამდე ტილო, ასი ისტორია, მთელი ეპოქა საქართველოს ისტორიისა. ძველ სპორტდარბაზს, მიმატებული თითქმის ნახევარი შენობა, უზარმაზარი შრომა და ენერგია, ენერგია ახალგაზრდული, მაშინ 90 წელს მიტანებული მხატვრისა, რომელსაც კასპელმა მეცენატმა ბავშვობის ოცნება აუსრულა. ოცნება იმისა, რომ შეექმნა ტილოზე გადატანილი საქართველოს ჰეროიკული ისტორია.

* * *

**P. S. შარშან** გარდაიცვალა ცნობილი მეცენატი უშანგი მოსიაშვილი, რომელმაც გარდა „ქართული ჰეროიკული ისტორიის“ მუზეუმის შექმნისა, მონაწილეობა მიიღო კასპში ვახტანგ გორგასლის სახელობის ტაძრის აღდგენაში, ააგო და მოახატვინა ტაძრის სამრეკლო, შთამომავლობას დაუტოვა მოგონებებისა და მოთხრობების რამდენიმე კრებული. ამჟამად მუზეუმს პატრონობს უშანგი მოსიაშვილის შვილიშვილი, პაპის ღირსეული მემკვიდრე და მოსახელე უშანგი მოსიაშვილი.

**მამუკა ვაშაკიძე**

**გივი ჯოლბორდის** ფოტოები



ბერი თევდორე



მარტყოფის ბრძოლა



პატრიარქი



„გიორგი ბრწყინვალე – მონღოლთა განდევნა“



ერეკლე მეფე და ინგილო ქალი

# საქართველო ამერიკის ზეწოლას ჯერჯერობით... უძლებს! რა იქნება ხვალ?!

**ვაშინგტონის ზეწოლა საქართველოზე გაიზარდა, როდესაც პარლამენტმა მხარი დაუჭირა კანონპროექტს, რომელიც რეგისტრაციის გავლას ავალდებულებს ორგანიზაციებს, რომლებიც დაფინანსების 20%-ზე მეტს ქვეყნის გარედან იღებენ**

**დამოუკიდებელი გამოცემა Geopolitical Economy Report აქვეყნებს სტატიას, სადაც საუბარია აშშ-ის მთავრობასთან დაკავშირებული ორგანიზაცია „ედისონ რისერჩის“ (Edison Research) შესახებ, რომლის ეგზიტპოლის შედეგები გამოიყენა ვენესუელის ოპოზიციამ და დასავლეთმა, არჩევნების შედეგების გასაპროტესტებლად.**

სტატიაში ცალკე თავი ეთმობა „ედისონ რისერჩის“ ჩარევას საქართველოში. Geopolitical Economy Report-ის ცნობით, ორგანიზაციის აღმასრულებელმა ვიცე-პრეზიდენტმა **რობ ფარბმანმა** LinkedIn-ის საკუთარ პროფილზე დაწერა, რომ ბოლო დროს, ის აკონტროლებდა „საარჩევნო გამოკითხვას საერთაშორისო კლიენტებისთვის, ვენესუელაში, ერაყში, უკრაინასა და საქართველოს რესპუბლიკაში.“ ირკვევა, რომ ის ასევე მუშაობს საერთაშორისო სამაუწყებლო ორგანიზაციებთან: BBC, რადიო თავისუფალი ევროპა/რადიო თავისუფლება და ამერიკის ხმა.



ნინო ჯაფარიძე

**„LinkedIn-ზე ფარბმანი ასევე აცხადებს, რომ „ედისონი მუშაობს კომერციული კლიენტების, მთავრობებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ფართო სპექტრთან“, თუმცა მან არ გაამჟღავნა კონკრეტულად რომელ მთავრობებთან.“** – ვკითხულობთ სტატიაში, სადაც აღნიშნულია ისიც, რომ ფარბმანი არ არის „ედისონ რისერჩის“ ერთადერთი წარმომადგენელი, რომელიც ინტენსიურად მუშაობდა აშშ-ის მთავრობის პროპაგანდისტულ საშუალებებთან.

**„ედისონის უფროსი მრჩეველი ნინო ჯაფარიძე ასევე მუშაობდა აშშ-ის მაუწყებლობის მმართველთა საბჭოს, რადიო თავისუფლებისა და ამერიკის ხმისთვის, ისევე როგორც ლონდონის BBC-სთვის.**



რობ ფარბმანი

**მაუწყებლობის მმართველთა საბჭო არის აშშ-ის მთავრობის პროპაგანდისტული ორგანო, რომელსაც 2018 წელს ეწოდა აშშ-ის გლობალური მედიის სააგენტო.**

**2019 წელს ჯაფარიძეს მეგობრული ინტერვიუ ჰქონდა ამერიკულ პროპაგანდისტულ გამოცემა „ამერიკის ხმასთან“ და განიხილავდა „საქართველოს დემოკრატიისთვის მედიის დამოუკიდებლობის მნიშვნელობას“.“ – ნათქვამია სტატიაში.**

სტატიის ავტორის თქმით, ბოლო წლებში, საქართველო გახდა ვაშინგტონის სამიზნე, რომელიც ამ ყოფილი საბჭოთა ქვეყნის შეერთებული შტატების იმპერიული გავლენის სფეროში შეყვანას ცდილობდა. 2008 წლიდან აშშ-ის მთავრობა ამტკიცებს, რომ საქართველო და უკრაინა გახდებიან ნატოს წევრები, არა მხოლოდ რუსეთის, არამედ გერმანიისა და საფრანგეთის წინააღმდეგობის მიუხედავად.

**„ვაშინგტონის ზეწოლა საქართველოზე მნიშვნელოვნად დაჩქარდა 2024 წელს, როდესაც ქვეყნის დემოკრატიულად არჩეულმა პარლამენტმა მხარი დაუჭირა კანონპროექტს, რომელიც ავალდებულებდა ორგანიზაციებს, რომლებიც იღებენ თავიანთი დაფინანსების 20%-ზე მეტს ქვეყნის გარედან, დარეგისტრირდნენ უცხოურ აგენტებად.**

**ამერიკული რბილი ძალის ორგანიზაციები, როგორიცაა „დემოკრატიის ეროვნული ფონდი“ (NED), სხვა დასავლურ მთავრობებთან ერთად, აფინანსებს ევროკავშირის მომხრე ბევრ „სამოქალაქო საზოგადოების“ ჯგუფს და ნატოს მომხრე მედიასაშუალებას საქართველოში, რომლებიც იძულებულნი იქნებიან დარეგისტრირდნენ უცხოურ აგენტებად ამ კანონის მიხედვით.“** – აღნიშნულია სტატიაში.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი ძლიერ ლობირებდა კანონპროექტის წინააღმდეგ და სანქციებიც კი დაუწესა ამ კანონის მხარდამჭერ ქართველ ოფიციალურ პირებს.

როგორც სტატიის ავტორი ბენ ნორტონი წერს, გასაკვირი არ არის, რომ აშშ-ის მთავრობასთან კავშირების გათვალისწინებით, „ედისონ რისერჩმა“ გამოაქვეყნა გამოკითხვა 2023 წლის დეკემბერში, რომელშიც ნათქვამია, რომ საქართველოში მოსახლეობის 90%-ს სურს მჭიდრო კავშირი ევროკავშირთან, 80%-ს სურს მჭიდრო კავშირი აშშ-სთან და მხოლოდ 43%-ს სურს მჭიდრო კავშირი რუსეთთან.

**„ამან დაადასტურა ვაშინგტონის ნარატივი სწორედ იმ მომენტში, როდესაც ის ამძაფრებდა ინტერვენციული ზეწოლის კამპანიას საქართველოს წინააღმდეგ.“** - ვკითხულობთ სტატიაში.

# გიორგი გამსახურდია: წარმომიდგენია, რა ბულინგის ქვეშ იყვნენ ეს საცოდავები...ფაქტი ერთია, ბოლომდე გაიბანძეს თავი, შიგნითაც და გარეთაც



**„ჩაუნაცვლეს ალბათ შემოსავალი ევროპელ პენსიონერებზე ნაძარცვი ფულით. თან გატისკეს, წარმომიდგენია, რა ბულინგის ქვეშ იყვნენ ეს საცოდავები...ფაქტი ერთია, ბოლომდე გაიბანძეს თავი, შიგნითაც და გარეთაც. ესეთი ვითომ ვაჟკაცები არიან ესენი, ამათი ნავაჟკაცარის და შესრულებულის რა ვთქვა მე ...“ – ამის შესახებ გიორგი გამსახურდია სოციალურ ქსელში წერს, რითიც ეხმაურება მოძრაობა „სირცხვილიას“ დღევანდელ განცხადებას, რომლის თანახმად, „სირცხვილიამ“ „გამჭვირვალობის კანონთან“ დაკავშირებით რეგისტრაციის გადაწყვეტილება გააუქმა.**

**ცნობისთვის, მოძრაობა „სირცხვილიას“ მიერ სოციალურ ქსელში გავრცელებული ვიდეორგოლიდან ცნობილი გახდა, რომ, „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის შესაბამისად, „სირცხვილია“ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დარეგისტრირდება. გამოქვეყნებულ ვიდეოში ორგანიზაციის წარმომადგენლები განმარტავენ, რატომ მიიღეს აღნიშნული გადაწყვეტილება.**

**დღეს კი, მოძრაობამ გუშინდელი გადაწყვეტილება შეცვალა:**

**მოძრაობა „სირცხვილია“ აუქმებს რუსულ კანონთან დაკავშირებით რეგისტრაციის გადაწყვეტილებას!**

# „სირცხვილიას“ შემარცხვენელნი — ლექსო სამხარაძე და დავით ტატიაშვილი დაჯარიმდნენ

**თბილისის მერიის მუნიციპალურმა ინსპექციამ პარლამენტის შენობაზე წარწერების ავტორები ლექსო სამხარაძე და დავით ტატიაშვილი დააჯარიმა.**



ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის სამხარაძეს ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით, ხოლო ტატიაშვილს – 2000 ლარის ოდენობით დაეკისრა.

ლექსო სამხარაძემ, პარლამენტის შენობაზე წარწერის გაკეთების შემდეგ, სოციალურ ქსელში თავად გამოაქვეყნა ფაქტის ამსახველი ფოტო და დაწერა: **„100 წლის თავზე, ქართველი ხალხის უმეტესობა ისევ აჯანყებულია და ამ აჯანყების შედეგი, არჩევნებში კოლაბორანტი ხელისუფლების მოშორება იქნება. გაუმარჯოს აჯანყებულებს.“**

ცნობისთვის, სამხარაძემ რამდენიმე თვის წინ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა საპარლამენტო უმრავლესობის წევრს, „ხალხის ძალის“ ერთ-ერთ ლიდერს ვიქტორ ჯაფარიძეს, რადგან მან „გამჭვირვალობის კანონს“ მხარი დაუჭირა.

# როცა ენათმეცნიერის ცრუ და ფლიდია!..

**ჩვენ გვინდა, საზოგადოებას დავანახოთ, ვისთან გვაქვს შეხება და ეს ადამიანი, რამდენად შესაძლებელია ობიექტურ დასკვნას აკეთებდეს, – ამის შესახებ საკონსტიტუციო სასამართლოში, „გამჭვირვალობის კანონის“ წინააღმდეგ სარჩელის განხილვაზე პარლამენტის წარმომადგენელმა ქრისტინე კუპრავამ მოსარჩელე მხარის მიერ მიწვეული ენათმეცნიერის მარინა ბერიძის შესახებ განაცხადა.**

მან ბერიძეს ჰკითხა, თუ გამოუყენებია სიტყვები „ღალატი“, „მოღალატე“ და რა შემთხვევაში იყენებს აღნიშნულ ტერმინებს. აღნიშნულ კითხვაზე, ენათმეცნიერმა უპასუხა: „საბედნიეროდ, ეს სიტყვები არ გამომიყენებია“.

ამ პასუხის შემდეგ ქრისტინე კუპრავამ წაიკითხა მარინა ბერიძის მოსაზრებები, რომლებიც მას საჯაროდ აქვს გამოქვეყნებული.



## რადიკალური ოპოზიციის ექსპერტი საკონსტიტუციო სასამართლოში ტყუილში გამოიჭირეს

**„შევეცადეთ და შეკითხვები დავუსვით, გამოუყენებია თუ არა სიტყვები: მოღალატე, ღალატი და მინდა სასამართლოს, და არა მხოლოდ სასამართლოს, საზოგადოებას ამოვუკითხო ქალბატონი მარინას მოსაზრებები, რომელიც საჯაროდ გამოქვეყნებულა და ამბობს: „რუსეთის პოლიტიკურ ორბიტაზე დაბრუნების საფრთხის წინ, „მაგრამ“ და „თუმცა“ არ იწერება და ყველა ტექსტი ამ ყველა წესით შესრულებული, შეიძლება ჩანაცვლდეს სიტყვით „ღალატი“ და ყველა ასეთი ტექსტის ავტორის მეტსახელია „მოღალატე“.**

მეტიც, ის ამბობს, რომ: **„როგორ გვყვარებია თურმე ეს 84 და როგორ გვდომებია მათი გადარჩენა. მოღალატეთა და უცხო ქვეყნის გავლენის გამტარებელი რეესტრი თავად შექმნეს.“ – თქვენთვის უცხოა ეს სიტყვები ქალბატონო მარინა, თქვენ არ გეკუთვნით ეს სიტყვები, ქალბატონო მარინა? ჩვენ გვინდა, რომ საზოგადოებას დავანახოთ, ვისთან გვაქვს შეხება და ეს ადამიანი, რამდენად შესაძლებელია ობიექტურ დასკვნას აკეთებდეს.“** – განაცხადა ქრისტინე კუპრავამ.

# ევროკავშირის წარმომადგენლობა „ისტორიები ცვლილებებზე“ კამპანიას იწყებს

**ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში იწყებს კამპანიას „ისტორიები ცვლილებებზე“. აღნიშნულის შესახებ ინფორმაციას საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობა ავრცელებს.**

მათივე ცნობით, ვიდეოების სერია წარმოაჩენს იმ ადამიანების ისტორიებს, რომელთა ცხოვრება და გარემო პირობები ევროკავშირის ინიციატივების შედეგად შეიცვალა.

**„ისტორიები ცვლილებებზე“ გვიყვება ევროკავშირის პროექტებზე და ამავდროულად, გვაცნობს იმ დადებით გავლენას, რომელიც საქართველოს მოსახლეობის ყოველდღიურ ცხოვრებაზე აისახება. პერსონალური ისტორიების გაზიარებით ვიდეოები აჩვენებს ევროკავშირის მხარდაჭერის რეალურ და გრძელვადიან სარგებელს და ფოკუსირებულია იმ ადამიანებზე, რომლებმაც ეს წარმატება საკუთარ თავზე გამოცადეს, მათ შორის არიან მეწარმეები, ფერმერები, სტუდენტები, სოციალური აქტივისტები და სხვა. ეს ისტორიები ხაზს უსვამს ევროკავშირის ერთგულებას საქართველოში მდგრადი განვითარების, სოციალური ერთობისა და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობისადმი“, – ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.**

კამპანიის შესახებ ისაუბრა საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის განვითარების და თანამშრომლობის განყოფილების ხელმძღვანელმა **ნიკოლას სენდროვიჩმა.**

როგორც ინფორმაციაშია აღნიშნული, კამპანიის „ისტორიები ცვლილებებზე“ დაწყება, ევროკავშირის მხარდაჭერის ფონზე, ევროკავშირსა და საქართველოს მოსახლეობას შორის ურთიერთობების გასაძლიერებლად მნიშვნელოვანი ეტაპია. ის ეფუძნება იმ ღირებულებებს, რომლებიც ევროკავშირისა და საქართველოს პარტნიორობას უდევს საფუძვლად, მათ შორის მდგრადობას და მუდმივ პროგრესს.

# ულირსეულესი მწერალი, არტისტი და საზოგადო მოღვაწე

## გვახსოვდეს ღირსეული წინაპარი



შალვა დადიანი-150

**მე-19 და მე-20 საუკუნეების მწერლობა და თეატრი იყო ეროვნული ცნობიერების გამოვლენის და გაცოცხლების უმთავრესი საშუალება. სწორედ ხელოვნებისა და მწერლობის დარგში მიუძღვის შალვა დადიანს დიდი დამსახურება.**

აი, რას ამბობდა თავად შალვა ერთ-ერთ რადიოგამოსვლაში: ჩემს ცხოვრებაში მეგობრებო, რაიმე უცნაური თუ ხდება, თუ რაიმეს წარმოვადგენ, ჩემს წარსულის დამსახურებაა... აუცილებლად სასარგებლო უნდა ვყოფილიყავი. ჩემ ოჯახს ჰქონდა უფლება წინა რიგებში დგომისა. მისი ხარისხი, თავადობისა და დადიანობისა, თავის დროზე იყო გამორჩეული, ამიტომ გასაკვირი არ არის რაც ვარ, არამედ გასაკვირია, უკეთესი რომ არ ვარ...

შალვა დადიანის მამა, დიდი, ნიკო დადიანი გახლდათ გამორჩეული საზოგადო მოღვაწე. სამოციანელთა თანამედროვე და ილია ჭავჭავაძის თანამოაზრე. არჩეული იყო „ვეფხის ტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის წევრად. აქტიურად იბრძოდა ქართული ენის დასაცავად, რუსული აგრესიის წინააღმდეგ. იყო ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკის თავმჯდომარე, სამეგრელოში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ინიციატივით დაწყებითი სკოლის გახსნის მოთავე და მონაწილე, ათობით ლექსის ავტორი, ქველმოქმედი და მონარქიის წინააღმდეგ აქტიური მებრძოლი.



სხედან: პეტრე ქავთარაძე, შალვა დადიანი, მიხეილ ჯავახიშვილი, გერონტი ქიქოძე, დგანან: სანდრო შანშიაშვილი, ილო მოსაშვილი, კონსტანტინე ჭიჭინაძე

შალვა დადიანმა ოჯახში მიიღო პირველადი განათლება მამის ხელმძღვანელობით. ადრეული ჭაბუკობიდან გაიტაცა პროგრესულმა იდეებმა. იყო გამგრძელებელი, როგორც ილია ჭავჭავაძის და აკაკი წერეთლის, ასევე ვასო აბაშიძის, ვალერიან გუნიას და ლადო მესხიშვილის მოღვაწეობისა.

მიმდინარე წლის 21 მაისს, დაბადებიდან 150 წელი შეუსრულდა საქართველოს სახალხო არტისტს, საქართველოს თეატრალური საზოგადოების ყოფილ თავმჯდომარეს, გამოჩენილ თეატრალურ მოღვაწეს, მსახიობს, მწერალს, სცენარისტს, უმდიდრესი შემოქმედებითი მონაგარის მქონე კალმოსანს, მთაწმინდის პანთეონის „ბინადარს“, შალვა დადიანს.

აი, რას წერს კონსტანტინე გამსახურდია შალვა დადიანზე;

**„შალვა დადიანის შეურყეველ ბუნებას ახლოსაც არ გაჰკარებია ზოგიერთი ხელოვანისათვის დამახასიათებელი ეგოცენტრიზმი, საკუთარი სახელის განდიდებისთვის გააფთრებული ბრძოლის ჟინი, რომელსაც თან მიჰყვება ხოლმე თანამოკალმეთა ზურგს უკან გაქირდვა და ლიტერატურული ოინბაზობა.**

**ინგლისურ „ჯენტლმენზე“ უფრო ხელმარჯვე სიტყვა გვაქვს ქართულად – „დარბაისელი“.**

**ჩვენს ხელოვნებაში მოჭირნახულე ახალი თაობები ბევრ რამეს ისწავლიან შალვა დადიანის მწერლური და არტისტული შემოქმედების სფეროდან, მისი დარბაისლობა და კაიკაცობა მისაბაძი მაგალითი უნდა გახდეს მათთვის.**

**ისევე, როგორც დიდ ილიას, შალვა დადიანსაც ბევრი დრო და ენერგია წაართვა თეატრმა და საზოგადო მოღვაწეობამ, მიუხედავად ამისა, მან შეძლო მოეხვეჭა ქართული პროზის ერთ-ერთი შესანიშნავი ოსტატის სახელი....**

**...შალვა დადიანი თვით ძველ დროში განირჩეოდა თავისი ჰუმანიზმით, პროგრესულობით, ახალ ეპოქაში იგი დაუღალავად ემსახურებოდა ხალხთა შეძმობის დიდ იდეას, ამიტომაც უჩვეულო პატივისცემა დაიმსახურა მან მთელი საბჭოეთის ერების გულებში.“**

ქვეყნისთვის თავდადებისა და ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობისთვის მას მთამომავლობამ სასუფეველი მთაწმინდის პანთეონში მიუჩინა.

ღირსეული ქართველი მოღვაწის სახელს ატარებს ქუჩები თბილისში, ზუგდიდში, სენაკში, აბაშაში, აქტიურად მოღვაწეობს შალვა დადიანის სახელობის ზუგდიდის სახელმწიფო თეატრი.

შალვა დადიანის სახელი მარად დარჩება ქართველი ხალხის მეხსიერებაში.

**ბორის დავითაია,**
**სენაკის საპატიო მოქალაქე,**
**აკ. წერეთლისა და ალ. ყაზბეგის პრემიების ლაურეატი.**

# ეს გაუმარჯოს, როგორც ზღაპარში, შოვის უსწრაფეს აღორძინებას!

**რამდენიმე დღის წინათ საოჯახო ალბომის გადაფურცვლა მომიხდა. ნეტავ დამზარებოდა.**

დაახლოებით ნახევარი საუკუნის წინანდელი ფოტოებიდან უდარდელი ბავშვობის ამსახველმა კადრებმა შემომანათა, მთელი ბრწყინვალებით რომ ასხივებდა შოვის სიდიადეს. მათ პერსონაჟთაგან მაშინ ალბათ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ზემო რაჭაში შარშან დატრიალებული ტრაგედიის შემდეგ იავარქმნილ კურორტს წარსულში მოვიხსენიებდით, ხოლო ზოგიერთი გულნამცეცა თუ ენამწარე ვაითანამემამულე ნიშნის მოგებით ჩაიქირქილებდა: რაც გინახავთ, ვეღარ ნახავთო.

დიახ, იმას კი არ გაუსვამდნენ ხაზს, რომ ბუნება მბრძანებელია და დაზღვეულნი არაფრისგან ვართ, არამედ თითს ისევ კონკრეტული ადამიანებისკენ გაიშვერდნენ და ქვენა გრძნობების დასაკმაყოფილებლად ყველაფერში სახელმწიფოს დაადანაშაულებდნენ.





არადა, გაისად ივლისში 100 წელი სრულდება მას შემდეგ, რაც 30-იანი წლების რეპრესიების დროს დახვრეტილი რევოლუციონერის **შამშე ლეჟავას** ინიციატივით ცადაზიდული წიწვოვანი ხეებისა და სამკურნალო მინერალური მჟავე წყლების საუფლოში პირველი სანატორიუმის საძირკველი გაიჭრა, რაც მალე ჯანმრთელობის დაცვისა და დასვენების სანიმუშო კერის გახსნით დაგვირგვინდა.

თითქოს გუშინ იყო – როგორც კი სამკურნალო ობიექტებით განთქმულ კიდევ ერთ მარგალიტს – უწერას გავცდებოდით და საგლოლოში უკვე საბედისწერო მდინარე ჭანჭახის ხეობამდე მივაღწევდით, თავი დანიშნულების პუნქტში გვეგონა.

მართლაც, სტუმარ-მასპინძლის საყვარელი კვეების უშრეტი საბადო-ფერდობებზე შეფენილი ნაძვეზი, შემდეგ ადგილობრივთა დასაქმების ძირითადი არტერია – სოფელი გლოლა და უკვე შოვის სადარბაზო ბარათში – ტურბაზაში ვართ, იქიდან კი საოცნებო კურორტამდე ხელის ერთი გაწვდენაა. სხვათა შორის, სადღაც ახლომახლოსაა გადაღებული **გია მატარაძის** ცნობილი ფილმის – „ყველაზე სწრაფები მსოფლიოში“ პოპულარული – სოკოს მირთმევის ეპიზოდი, თუმცა მოსაგონარი სხვაც ბევრია...

მოკლედ, ვუახლოვდებით შესასვლელშივე წამომართულ ცეკავშირის კოხტა პანსიონატს, რომელსაც მცირედითაა დაშორებული სტალინის აგარაკი. სწორედ პარტიული ნომენკლატურის აღნიშნულ მიზიდულობის ცენტრში ჩამოაგვირისტა **გალაკტიონმა** „ნიკორწმინდის“ უკვდავი სტრიქონები...

განვაგრძობთ ვირტუალურ მოგზაურობას ზღაპრულ სამყაროში და უკვე სამედიცინო პუნქტის კოპწია ვარდისფერ ფიცრულს ვუახლოვდებით, სადაც ძალუმად იფრქვევა იქვე ახლოს პროფესიონალ რაჭველ მეპურეთა მიერ მამა-პაპურ ტრადიციათა სრული დაცვით გამომცხვარი ფურნის უზარმაზარი „ბუხანკის“ მადისაღმძვრელი სურნელი. ბუნებრივია, არემარეს აცოცხლებს მომავალი თაობის ჟრიამული – ზოგი მაგიდის ჩოგბურთით ერთობა, სხვები კი ბადმინტონს, ფეხბურთსა თუ ფრენბურთს თამაშობენ. ფიზიკური აქტიურობის თანხლებით ასეთი მომაჯადოებული ჰაერით ფილტვების მომარაგება ხომ მთელი წლით დადებითი ემოციებით დამუხტვის ტოლფასია.

მოდით, ცოტათი კიდევ ავინაცვლოთ ზემოთ, მამისონის უღელტეხილისკენ და „სამთო ქიმიის“ უმნიშვნელოვანესი სისტემის თანამშრომელთა დარგობრივ სავანეს – „მთის ბროლსაც“ შევაწიოთ რამდენიმე კომპლიმენტი, სადაც, როგორც ჩორდის ბარიტის მაღაროთა სამმართველოს ერთ-ერთი მაღალჩინოსნის ოჯახის წევრი, ზაფხულის არდადეგების დროს მინიმუმ ერთ დაუვიწყარ თვეს მაინც სრულ განცხრომაში ვატარებდი.

და ბოლოს: წარმოსახვითი რეპორტაჟის სისრულისთვის მიმართეთ კურორტის ცენტრში მოღვაწე ებრაული თემის წევრ ფოტოგრაფებს, რომლებიც ჩვეული ოსტატობით „ჩაგაკარტოჩკებენ“.

ჩვენ კი აღვიჭურვოთ ოპტიმისტური მოთმინების უნარით და დაველოდოთ იმ ბედნიერ დღეს, როცა შოვი მეორედ დაიბადება.

ამინ!

**გია პლატონიშვილი**



◉ ტატამზე




# ოქროს, ბრინჯაოს

**წარმატებით იასპარეზეს ქართველმა ძიუდოისტებმა პერუს დედაქალაქ ლიმაში, სადაც კადეტთა მსოფლიო ჩემპიონატი დასრულდა.**

საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა **გიორგი გივიშვილი**, ხოლო **ნოდარ კობალაძე** მესამე პრიზიორი გახდა. დავძენთ, რომ ბრინჯაომდე თითო მოგება დააკლდათ მერაბ სამადაშვილს, ვასილ გამეზარდაშვილსა და გიორგი გელაშვილს.

◉ ოქტაგონზე

# ვიწყებთ!..

**რაც უფრო ახლოვდება UFC-ის შემოდგომის ბრძოლები, მით უფრო საინტერესო ხდება ქართველ მოჩხუბრებთან დაკავშირებული სიახლეები.**

უპირველესად გაუწყებთ, რომ ქვემსუბუქი წონის ჩემპინი **ილია თოფურია** ჟურნალ ფორბსის ესპანური ვერსიის პირველ გვერდზე გამოჩნდა, რომელიც ამ ქვეყნის 30 წლამდე ასაკის 30 წარმატებულ წარმომადგენელს




მიეძღვნა.

შეგახსენებთ, რომ თოფურია მომდევნო ბრძოლას ამერიკელი მაქს ჰოლოუეის წინააღმდეგ UFC 308-ის ფარგლებში 27 ოქტომბერს აბუ-დაბიში გამართავს.

რაც შეეხება **მერაბ დვალიშვილს**, UFC-ის პრეზიდენტმა დანა უაითმა ემოციური კომენტარი გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ უმსუბუქესი წონის კავკასიელმა მარცხენა თვალსზემოთ მის ცნობილ ნახეთქზე ნაკერები ჩვეულებრივი მაკრატლით თავად მოიხსნა.

...დალახვროს ეშმაკმა, ის მგონი დამცინის. თქვენ ოდესმე გინახავთ ნაკერების მომხსნელი მაკრატელი? ის ძალიან პატარაა და აქვს ერთი რაღაც, რათა შემთხვევით კანი არ გაიჭრა. ამ ბიჭს კი ბაღის ბუჩქების საკრეჭი დაწყევლილი მაკრატელი




ჰქონდა – აღნიშნა უაითმა.

შეგახსენებთ, რომ მერაბ დვალიშვილი UFC 306-ის ფარგლებში 15 სექტემბერს უმსუბუქესი წონის ქამრისთვის მოქმედ ამერიკელ ჩემპიონ შონ ოსმალისთან ბრძოლისთვის ემზადება და ისინი დროდადრო ერთმანეთს ცხარე პოსტებს უცვლიან. ამჯერად ამერიკელმა განაცხადა: მე ის მეცოდება, რადგან დიდხანს ახლოს იყო ტიტულთან, მაგრამ მას ჩემ გამო ვერ შეწვდება. თავს დამნაშავედ ვგრძნობ.

◉ ლეგიონერები




# სანაკრებო რაუნდამდე

**დღეს საქართველოს ეროვნული ნაკრები ერთა ლიგის „ბ" დივიზიონის სასტარტო შეხვედრების წინ მოსამზადებელ შეკრებას იწყებს, თბილისში გამომგზავრებამდე კი ჯვაროსნებმა თავიანთ კლუბებში ევროპული ქვეყნების ჩემპიონატების მორიგი მატჩები გამართეს.**

**ავსტრია.** შტურმი – ტიროლი 4:2. განსაკუთრებით წარმატებით **ოთარ კიტეიშვილმა** ითამაშა, რომელმაც 0:2-ზე ჯერ თვითონ გაუტანა სტუმრებს პირველი საპასუხო ბურთი, ხოლო შემდეგ 2:2- ზე საგოლე გადაცემით მოამარაგა გრგიჩი.

**იტალია.** ნაპოლი – პარმა 2:1. ანტონიო კონტე ახალი გუნდის შენებას ზედიზედ მეორე, ამჯერად უმძიმესი გამარჯვებით შეუდგა. სერია – ა-ში წლეულს დაბრუნებული სტუმრები ტაიმნახევრის განმავლობაში ფლობდნენ უპირატესობას, ვიდრე მათმა იაპონელმა მეკარემ სუძუკიმ უწყინარ ვითარებაში არ გააძევებინა მსაჯს თავი მინდვრიდან. აღსანიშნავია, რომ ანგარიში ლუკაკუმ გაქვითა, **ხვიჩა კვარაცხელია** კი 13-ჯერ(!) დაემუქრა მეტოქის კარს, მაგრამ ამ ჯერზე – უშედეგოდ.

ბოლონია – ემპოლი 1:1. **საბა გოგლიჩიძეს** ვულოცავთ კალჩოში იღბლიან დებიუტს.

**საფრანგეთი.** ლიონი – სტრასბური 4:3. **გიორგი მიქაუტაძემ** რამდენიმე მომენტი გაფლანგა და 1:3-ზე შეცვალეს, ბრძოლის ბედი კი დუბლიორებმა გადაწყვიტეს.

**ესპანეთი.** ვალენსია – ვილიარეალი 1:1. ეს **გიორგი მამარდაშვილის** პირველი ქულაა.

◉ კარატე

# სტაბილურად – კვარცხლბეკზე

**საქართველოს შოტოკან კარატე დოს კონფედერაციის ნაკრები კვლავ წარმატებით განაგრძობს ასპარეზობას როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო სარბიელზე.**

ამ გუნდის უფროსი ინსტრუქტორია **ჭაბუკა მახარაძე,** რომლის საუკეთესო სპორტსმენებმაც ანდრია საათაშვილმა, ნიკოლოზ ყარმაზანაშვილმა, ანდრია კარბაიამ, ნიკოლოზ სულამანიძემ, ბაჩუკი ჩიტუნაშვილმა, ნატალი ღონღაძემ, გიორგი ტაბატაძემ, ეკატერინე სირაძემ, გიორგი ჯანაშვილმა, დანიელ კასიმოვმა, ელენე ჩაკვეტაძემ, დაჩი დადუნაშვილმა, ნინო კინწურაშვილმა, ბაჩანა დვალიშვილმა, გიორგი კემულარიამ წელს საქართველოს სახელით სხვადასხვა უმაღლესი რანგის ტურნირებზე მოიპოვეს ყველა სინჯის უამრავი მედალი.

ჭაბუკა მახარაძე არის მსოფლიოს ოთხგზის და ევროპის მრავალგზის ჩემპიონი, ასევე მრავალი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული და წარმატებული ინსტრუქტორი, შავი ქამრის V დანის მფლობელი, საქართველოს შოტოკან კარატე დოს ფედერაციის უფროსი ინსტრუქტორი. საერთაშორისო ტურნირებზე მას 1998 წლიდან მოხვეჭილი აქვს ყველა სინჯის 100-ზე მეტი მედალი.




◉ ჩემპიონთა ლიგა 24-25

# ახალი ფორმატით, ახალი ჰიმნით

**ყველაზე პრესტიჟულ ევროპულ საკლუბო ტურნირზე ახალი ერა იწყება. განახლებული ფორმატის ჩემპიონთა ლიგას წილი მონაკოში უყარეს, პროცედურაში კი ლეგენდები მონაწილეობდნენ. მათგან კრიშტიანუ რონალდუს ჩემპიონთა ლიგის ისტორიაში საუკეთესო ბომბარდირისთვის (140 გოლი) განკუთვნილი პრიზი გადაეცა, ჯანლუიჯი ბუფონმა კი უეფას პრეზიდენტის ჯილდო ჩაიბარა დიადი მიღწევების, ოსტატობისა და სანიმუშო პირადი თვისებებისათვის.**

რაც შეეხება უშუალოდ ტურნირს, 36-მა გუნდმა ერთი მთლიანი ცხრილი შექმნა, სადაც აღარ იქნება ჯგუფური რაუნდი და ყველა კლუბი 8 შეხვედრას ჩაატარებს ამდენივე მეტოქესთან – 4 მატჩს შინ და 4-ს სტუმრად. შედეგად, 8 საუკეთესო პირდაპირ გავა მერვედფინალში, ხოლო მე-9-24-ე ადგილებზე გასულნი პლეი-ოფში დაწყვილდებიან და აღნიშნული ეტაპის კიდევ 8 საგზურის მფლობელებს 2-რაუნდიან დაპირისპირებაში გამოავლენენ.

ალბათ მიხვდით, რომ 25-ე-36-ე ადგილებზე გასულთათვის ევროსეზონი დასრულებული იქნება, რადგან ისინი ვეღარც ევროპის ლიგაზე გადაინაცვლებენ და ვეღარც კონფერენს ლიგაზე.

აქვე გაუწყებთ, რომ ახალი ფორმატის ჩემპიონთა ლიგის ძირითადი ეტაპი 17-19 სექტემბერს დაიწყება, ხოლო ბოლო, მე-8 ტურის მატჩები 2025 წლის 29 იანვარს გაიმართება:

დავძენთ, რომ დამდეგ ჩემპიონთა ლიგაში 3 ქართველი ფეხბურთელის კლუბი ითამაშებს: **გურამ კაშიას** სლოვანი, **ოთარ კიტეიშვილის** შტურმი და **ირაკლი აზაროვის** შახტარი. ახლა კი რამდენიმე გრანდის კალენდარს გავეცნოთ:



**რეალი** – დორტმუნდი (შინ), ლივერპული (სტუმრად), მილანი (შინ), ატალანტა (სტუმრად), ზალცბურგი (შინ), ლილი (სტუმრად), შტუტგარტი (შინ), ბრესტი (სტუმრად).

**სიტი** – ინტერი (შინ), პსჟ (სტუმრად), ბრიუგე (შინ), იუვენტუსი (სტუმრად), ფეიენოორდი (შინ), სპორტინგი (სტუმრად), სპარტა (შინ), სლოვანი (სტუმრად).

**ინტერი** – ლაიფციგი (შინ), სიტი (სტუმრად), არსენალი (შინ), ლევერკუზენი (სტუმრად), ცრვენა ზვეზდა (შინ), იანგ ბოიზი (სტუმრად), მონაკო (შინ), სპარტა (სტუმრად).

**ბაიერნი** – პსჟ (შინ), ბარსელონა (სტუმრად), ბენფიკა (შინ), შახტარი (სტუმრად), ზაგრების დინამო (შინ), ფეიენოორდი (სტუმრად), სლოვანი (შინ), ასტონ ვილა (სტუმრად).

**ბარსელონა** – ბაიერნი (შინ), დორმუნდი (სტუმრად), ატალანტა (შინ), ბენფიკა (სტუმრად), იანგ ბოიზი (შინ), ცრვენა ზვეზდა (სტუმრად), ბრესტი (შინ), მონაკო (სტუმრად).

საქართველოს რესპუბლიკა

# მწვანე სამყაროს „სოლიდარობის წელი“ ქობულეთში

**აზერბაიჯანის რესპუბლიკის დიასპორასთან მუშაობის სახელმწიფო კომიტეტის მხარდაჭერით და საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელების ინტეგრაციის ცენტრის ორგანიზებით, ქალაქ ქობულეთში განხორციელდა 3-დღიანი პროექტი „მწვანე სამყაროს სოლიდარობის წელი – საქართველო“. პროექტის მიზანი იყო ტრენინგის ჩატარება ეკოლოგიაზე, გარემოს დაცვაზე, გლობალურ დათბობაზე და პროექტების შედგენაზე.**

ქობულეთში გამართული ბანაკის გახსნაზე GAIM-ის აღმასრულებელმა დირექტორმა მურად მურადოვმა მონაწილეებს დეტალური ინფორმაცია მიაწოდა პროექტის შესახებ და ხაზი გაუსვა მის მიზანსა და მნიშვნელობას. მისი თქმით, პროექტის მიზანია უზრუნველყოს სკოლის მოსწავლეების ფიზიკური და სულიერი განვითარება, ხელი შეუწყოს მათ გაატარონ თავისუფალი დრო საინტერესოდ და მხიარულად და დაამყარონ კონტაქტები ახალ მეგობრებთან, ასწავლონ ბავშვებს ახალი უნარები.

შეხვედრაზე სიტყვა წარმოთქვა აზერბაიჯანის რესპუბლიკის დიასპორის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის წარმომადგენელმა საბიტ მამედოვმა. მან მონაწილეებს კომიტეტის თავმჯდომარის ფუად მურადოვის მოკითხვა გადასცა და კომიტეტის მიერ განხორციელებული პროექტები გააცნო. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ მსგავსი პროექტები დიდ როლს თამაშობს ბავშვთა შორის მეგობრობის ჩამოყალიბებაში, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ეროვნული და მორალური ფასეულობების ათვისებას, ინტელექტუალურ, გასართობ პროგრამებს, სპორტულ ვარჯიშებს სკოლის მოსწავლეების ზაფხულის არდადეგების ეფექტურად გატარებისთვის.

შეხვედრას ონლაინ შემოუერთდა საქართველოში აზერბაიჯანის რესპუბლიკის საელჩოს თანამშრომელი რამიზ ჰაჯიზადე. მან საქართველოში აზერბაიჯანის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის ფაიგ გულიევის მოკითხვა გადასცა პროექტის მონაწილეებს. მან ასევე ახალგაზრდებს მიაწოდა ინფორმაცია „მწვანე სამყაროს სოლიდარობის წლის“ და COP29-ის ფარგლებში განსახორციელებელი სამუშაოების შესახებ.

აღსანიშნავია, რომ ტრენინგებს პროექტის ფარგლებში ატარებდა ეკო ცენტრის დამფუძნებელი თინათინ მაღედანი.

ღონისძიების დასასრულს მონაწილეებს გადაეცათ სერტიფიკატები და საჩუქრები. ბავშვებმა გადაიღეს სამახსოვრო ფოტოები.

აღსანიშნავია, რომ პროექტში ჩართული იყო 20-ზე მეტი ახალგაზრდა და მოზარდი ქვეყნის ქალაქებიდან და რეგიონებიდან.





## სანთელი



მწუხარებას გამოვთქვამ ჩემი მეგობრის – პროფესიონალი ჟურნალისტისა და საუკეთესო ადამიანის, ჩემი ორივე წიგნის რედაქტორის

**თამაზ ჩიქვანაიას**

გარდაცვალების გამო. ვუსამძიმრებ მის ოჯახსა და ახლობლებს, მთელ ქართველ ჟურნალისტთა საზოგადოებას.

პატივისცემით **იური ოსიპოვი.**

---

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციის თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ და საზოგადოებას აუწყებენ კოლეგის, დამსახურებული ჟურნალისტისა და უკეთილშობილესი პიროვნების**

**თამაზ ჩიქვანაიას**

**გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ ოჯახსა და მეგობრებს.**

## ტკივილი

**ვახტანგ თინათინ და დარეჯან კიკნაძეები თავიანთი ოჯახის წევრებთან ერთად, დიდი მწუხარებით იუწყებიან ბიძაშვილის, მათთვის უსაყვარლესი პიროვნების**

**მურად შალვას ძე ჭუმბაძის**

გარდაცვალებას და გულითად სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახის წევრებსა და ახლობელ ადამიანებს.

# იტალიაში პარფიუმერიის ქურდობისთვის დააკავეს

**ჩრდილოეთ იტალიაში, ქალაქ უდინეს პოლიციამ საქართველოს მოქალაქე დააკავა. 20 წლის კაცი პარფიუმერიულ მაღაზიაში ჩადენილი ქურდობისთვის 2 წლის განმავლობაში იძებნებოდა.**

იტალიური მედიის ცნობით, ახალგაზრდა კაცი შემთხვევით ამოიცნო იმ პარფიუმერიული მაღაზიის დაცვის თანამშრომელმა, საიდანაც მას წარსულში 700 ევროს ღირებულების პარფიუმერია და კოსმეტიკა ჰქონდა მოპარული.

ახალგაზრდა კაცს პოლიციამ ბორგო სტაზიონეს რაიონში ეროვნულ ტერიტორიაზე მიაკვლია.

# რომი-ქუთაისის რეისზე მგზავრი გარდაიცვალა



**კომპანია Wizz Air-ის რომი-ქუთაისის რეისზე მგზავრი გარდაიცვალა. ამის შესახებ ინფორმაციას რეისის მგზავრები ავრცელებენ. არსებული ინფორმაციით, 75 წლამდე ქალი შეუძლოდ ფრენის დროს გახდა.**

მომხდარის გამო თვითმფრინავი ბულგარეთის ქალაქ ვარნაში დაეშვა და ქუთაისის აეროპორტში რამდენიმე საათის დაგვიანებით ჩამოფრინდა.


## განცხადება

**აუქციონის ჩატარების შესახებ**

**გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვა - ბოლნისის მუნიციპალიტეტში, დაბა თამარისისა და სოფ. ნახიდურის მიმდებარედ, შპს „ნახიდური ჰესის“ 35 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანის პროექტი**

**გადაწყვეტილების მიმღები უფლებამოსილი ორგანოა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო. საჯარო განხილვის ორგანიზატორია სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი.**

დაგეგმილი საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი: **2024 წლის 4 ოქტომბერი, 13:00 საათი, ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა თამარისის ადმინისტრაციული ერთეულის შენობა.**

საჯარო განხილვა ღიაა. მონაწილეობის, შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს. წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ გაუგზავნოთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს **2024 წლის 25 ოქტომბრის ჩათვლით** მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი N150 ან ელფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გამოგზავნისას მიუთითოთ ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით მიმართეთ ცენტრს (ტელ: 0322 112023, ელფოსტა: ph@eiec.gov.ge, მის: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N32გ).

**განცხადების რეგისტრაციის თარიღი: 2024 წლის 21 აგვისტო.** განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 51-ე დღისა და არაუგვიანეს 55-ე დღისა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო გასცემს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას.

## განცხადება

**აუქციონის ჩატარების შესახებ**

სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა – **შპს „ფარმვეი საქართველო 2023-2 ოპკოს“ მიერ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში ნუშის ბაღის სამელიორაციო სისტემის მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტი**

დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი: **2024 წლის 18 სექტემბერი, 13:00 საათი, დედოფლისწაროს მუნიციპალიტეტის მერიის შენობა (მის.: ქ. დედოფლისწყარო, კოსტავას ქ. #44).**

**გადაწყვეტილების მიმღები უფლებამოსილი ორგანოა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო. საჯარო განხილვის ორგანიზატორია სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი.**

საჯარო განხილვა ღიაა. მონაწილეობის, შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს. წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ გაუგზავნოთ **სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს 2024 წლის 20 სექტემბრის ჩათვლით მისამართზე:** ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი N150 ან ელფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გამოგზავნისას მიუთითოთ ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით მიმართეთ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს (ტელ: 0322 112023, ელფოსტა: ph@eiec.gov.ge, მის: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N32გ).

**განცხადების რეგისტრაციის თარიღი: 2024 წლის 26 აგვისტო.** განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 26-ე და არაუგვიანეს 30-ე დღისა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო გასცემს სკოპინგის დასკვნას.

# საქართველომ მეორედ მოიგო მსოფლიო ჩემპიონატი

**31 აგვისტოს ბულგარეთში, ქალაქ ბურგასში მსოფლიო ჩემპიონატი გაიმართა სამეჯლისო სპორტულ ცეკვებში, სადაც საქართველომ უკვე მეორედ მოიგო მსოფლიო ჩემპიონატი. ქართველი წყვილი – გვანცა ციხელაშვილი და აკა მოდებაძე სამეჯლისო სპორტულ ცეკვებში მსოფლიო ჩემპიონები გახდნენ.**

საფინალო შედეგი ასე გამოიყურება:

1. საქართველო; 2. ამერიკის შეერთებული შტატები; 3. ბულგარეთი; 4. გერმანია; 5. გერმანია; 6. ჩეხეთი.

წყვილი 2023 წელს გერმანიაში, ქალაქ დრეზდენში გახდა საქართველოს ისტორიაში პირველად მსოფლიო ჩემპიონი, მათ ასევე მოიპოვეს 2024 წლის ევროპის ჩემპიონის ტიტული და ახლა 2024 წლის 31 აგვისტოს ბულგარეთში, ქალაქ ბურგასში გახდნენ ორგზის მსოფლიო ჩემპიონები.



# ნონა გაფრინდაშვილი დაჭრილ-დაშავებულ სამხედრო მოსამსახურეებს შეხვდა

**წეროვანში მდებარე მარო მაყაშვილის სახელობის სამხედრო მოსამსახურეთა სარეაბილიტაციო ცენტრს ნონა გაფრინდაშვილი ესტუმრა. მან ცენტრის ინფრასტრუქტურა დაათვალიერა და დაჭრილ-დაშავებულ სამხედრო მოსამსახურეებს გაესაუბრა. ნონა გაფრინდაშვილმა საკუთარი სპორტული ცხოვრების მნიშვნელოვანი ეპიზოდები გაიხსენა და სამხედრო მოსამსახურეების შეკითხვებსაც უპასუხა.**

მოჭადრაკესა და დაჭრილ-დაშავებულ სამხედრო მოსამსახურეებს შორის ჭადრაკში ბლიცტურნირი გაიმართა. ნონა გაფრინდაშვილმა სარეაბილიტაციო ცენტრსა და სამხედრო მოსამსახურეებს საკოლექციო დაფა ავტოგრაფით და სამახსოვრო ბარათები გადასცა.

საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის წარმომადგენლებთან შეხვედრები მომავალშიც გაიმართება. მსგავსი შეხვედრები მიზნად ისახავს დაჭრილ-დაშავებული სამხედრო მოსამსახურეების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას, მათი მოტივაციის გაზრდასა და მხარდაჭერის გაძლიერებას.



# „ტბელობა“ ხიხაძირში

**31 აგვისტოს, სოფელ ხიხაძირში სახალხო დღესასწაული „ტბელობა“ გაიმართა, სადაც ღონისძიების მონაწილეები ტბელ აბუსერისძის სახელობის სახლ-მუზეუმს ეწვივნენ, შემდეგ კი საზეიმო კონცერტს დაესწრნენ. ინფორმაციას ხულოს მერია ავრცელებს.**

„ტბელობის“ საზეიმო ნაწილი ხიხაძირის საჯარო სკოლის ეზოში გაიმართა, სადაც ღონისძიების მონაწილეებმა ტბელ აბუსერისძის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე ისაუბრეს. ღონისძიებაზე, ასევე წარმოდგენილი იყო ადგილობრივი მხატვრების ნამუშევრები, ნაქსოვები და ნაქარგები.



ღონისძიების ფარგლებში წმინდა ტბელ აბუსერისძის სახელობის მუნიციპალური პრემია გადაეცათ: **იზოლდა სურმანიძეს** – სამოქალაქო და საზოგადოებრივ საქმიანობაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისთვის **მიხეილ სურმანიძეს** – ხანგრძლივი და ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობისათვის **გულადი ჯაიანს** – ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში წარმატებული საქველმოქმედო საქმიანობისთვის. სახალხო დღესასწაული „ტბელობა" ხულოს კულტურის ცენტრთან არსებული ანსამბლებისა და ინდივიდუალური შემსრულებლების მონაწილეობით საზეიმო კონცერტით დასრულდა.




# „სამშობლოს მიღმა“

**ეროვნული გალერეა ფელიქს ვარლამიშვილის, ვერა ფაღავას, ვანო ენუქიძისა და მიხეილ ბილანიშვილის ერთობლივ გამოფენას უმასპინძლებს**

**6 სექტემბერს, დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნულ გალერეაში ემიგრანტი ხელოვანების – ფელიქს ვარლამიშვილის, ვერა ფაღავას, ვანო ენუქიძისა და მიხეილ ბილანიშვილის ერთობლივი გამოფენა – „სამშობლოს მიღმა“ გაიხსნება.**

ეროვნული მუზეუმის ინფორმაციით, გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება XX საუკუნის 20-იან წლებში სხვადასხვა მიზეზით საქართველოდან წასული ოთხი მხატვრის შემოქმედება. ისინი ემიგრაციაში გაიზარდნენ და ჩამოყალიბდნენ, როგორც ფრანგი ხელოვანები. არცერთი მათგანი საქართველოში აღარ დაბრუნებულა, ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ პარიზში. დასავლური კულტურა იმ დროისთვის ძიების პროცესში იყო, რაც მათ შემოქმედებაზეც აისახა, თუმცა ერთ მხატვრულ სივრცეში ჩამოყალიბებული ოთხი ხელოვანის შემოქმედება მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისგან.

ნამუშევრები თავმოყრილია ქართული და ევროპული კერძო კოლექციებიდან.

გამოფენა 3 ნოემბრის ჩათვლით გასტანს.

# ვარსკვლავთცვენა წინანდალში



**წინანდლის ფესტივალის მეექვსე სეზონი ვერდის რეკვიემით გაიხსნა. პანკავკასიურ ახალგაზრდულ ორკესტრს, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის გუნდსა და საგანგებოდ მოწვეულ სოლისტებს იტალიელი მაესტრო ჯანანდრეა ნოზედა დირიჟორობდა.**

ფესტივალის გახსნითი კონცერტის ვარსკვლავურმა შემადგენლობამ, წინანდლის ამფითეატრში შეკრებილი 1000-მდე მსმენელის მხურვალე აპლოდისმენტები დაიმსახურა.

წინანდლის ფესტივალი 2018 წელს, სილქნეტის ხელშეწყობით დაარსდა და პირველივე წლიდან მოიპოვა საერთაშორისო აღიარება კლასიკური მუსიკის სამყაროში. კომპანია უკვე მეექვსედ წარადგენს ფესტივალს, რომელსაც საქართველოს ცნობადობის გაზრდაში დიდი წვლილი შეაქვს და პოპულარიზაციას უწევს მაღალი ხარისხის კლასიკურ მუსიკას.

გიორგი რამიშვილი – წინანდლის ფესტივალის/სილქნეტის დამფუძნებელი:

**„წელს ფესტივალზე განსაკუთრებული ვარსკვლავთცვენაა. რა თქმა უნდა, წინანდალში პანკავკასიური ახალგაზრდული ორკესტრიც წარდგება მაყურებლის წინაშე. აქ ისევ გაჟღერდება უკვდავი გენიალური მუსიკა, როგორც მშვიდობის და ერთიანობის გზავნილი. წინანდალი საერთაშორისო მნიშვნელობის კულტურული და საგანმანათლებლო ცენტრია და ვიმედოვნებ, რომ დროის განმავლობაში ის სულ უფრო მეტ მეგობარსა და მხარდამჭერს შეიძენს“,** – განაცხადა წინანდლის ფესტივალის დამფუძნებელმა **გიორგი რამიშვილმა.**

წლევანდელ სეზონზე პანკავკასიურ ახალგაზრდულ ორკესტრში 7 ქვეყნის 80-მდე ახალგაზრდა მუსიკოსის გაერთიანება კულტურის სამინისტროს, შვეიცარიის, ნორვეგიის, იტალიის საელჩოების თანადგომით გახდა შესაძლებელი. მსოფლიოში აღიარებულ დირიჟორებთან და სოლისტებთან ერთად ფესტივალის სავიზიტო ბარათად ქცეული ორკესტრი 4 კონცერტს გამართავს.

წინანდლის ფესტივალის 8-დღიან დატვირთულ საკონცერტო პროგრამას დასამახსოვრებელ საღამოებს შემატებს თუმანიშვილის თეატრის სპექტაკლი და ქართული ნაციონალური ბალეტის „სუხიშვილების“ კონცერტი. მუზეუმი უმასპინძლებს ქართველი აბსტრაქციონისტი ფერმწერის ჯიბსონ ხუნდაძის გამოფენას.

**უცხოური ვალუტის კურსი:**

**აშშ დოლარი - 2.6911; ევრო - 2.9809;**
**ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.5447;**
**100 რუბლი - 2.9555; თურქული ლირა - 0.0790;**
**აზერბაიჯანული მანათი - 1.5823;**
**1000 სომხური დრამი - 6.9424.**

საქართველოს რესპუბლიკა
www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35);

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04),

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,
თემურ ქორიძე,
ოთარ ტურაბელიძე,
გია პლატონიშვილი,**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17),

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**
დამკაბადონებელი
**გიორგი მახარაშვილი.**

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი**

**მისამართი:**
თბილისი. აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
sak@sak.ge

**გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.**

**ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმობეჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე,**
აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

იბეჭდება სტამბა
**„კოლორში“**
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

UAC(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 616932

რეკლამისთვის დარეკეთ:
**577-77-27-17**
rkobulia29@gmail.com
**ანგარიშის ნომერი**
**GE90BG0000000538329790**

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 4 სექტემბერს**